3-41
1935 /2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი



№ 3

1935 ს ა ხ ა ლ ი წ ლ ი ს 3

ფასი 75 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

„პიონერი“

№ 3

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი

მარტი

1935

წელიწადი მე-11

რედაქციის მისამართი: კიროვის ქ., № 7.

სახელგამი, საკ. და ახალ. სექტორი

შინაარსი

		გვ.
1.	სკოლაში (აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან“)	1
2.	აკაკის — დ. ბერიკაშვილის	4
3.	მამალი — აკაკის	5
4.	სხვიტორში — შ. თაბუკაშვილის	6
5.	აკაკის სახლში — ქსენია სიხარულიძის	6
6.	აკაკის ნაკვესები	6
7.	დიდი პოეტი აკაკი წერეთელი — სიმონ ქვარიანის	8
8.	პირველი გაცნობა — ცქვიტის	10
9.	აკაკი — მიმქრალის	12
10.	აკაკი „ჯეჯილის“ რედაქციაში — ლადო გეგეჭკორის	12
11.	აკაკი — სანდრო ეულენტის	13
12.	აკაკი აღზრდის შესახებ	14
13.	აკაკის — ყ. ხიტიბაშვილის	15
14.	ბავშვების საყვარელი მწერალი — ან. ღვინიაშვილის	15
15.	პიონერული არდადეგები — ლადო გეგეჭკორის	19
16.	გამოხმაურება „პიონერის“ იუბილეზე	19
17.	პატარა კომუნარი — გ. კაჭახიძის	20
18.	ორივე დამკვრელია — ლავრ. ჭიჭინაძის	20
19.	ნინა ხუბულავა — მოსე გგასალიასი	23
20.	მარწყვზე (მოთხრ.) (გაგრძელება) — ლ. ხვიჩიასი	25
21.	აკაკი — ე. აბრამიშვილის	26

ჟურნალი დასურათებულია მხატვ. ალ. გიგოლაშვილის მაერ.

სარედაქციო კოლეგია: ა. გველესიანი, აკ. რეხვიაშვილი (პ/მ. რედაქტორი), ა. ჯანკიევი, ლავრ. ჭიჭინაძე (პ/მ. მდივანი), შ. თაბუკაშვილი, შ. სიხარულიძე, ბორის ჩხეიძე და მ. თოდუაძე.

ტირაჟი 19.000. მთავლ. 2128. შეკვ. 285 პ/სკოლა, აკაკი წერეთლის ქ. № 3/5.

ს კ ო ლ ა ფ ი

(აკაკის „ჩემი თავგადასავლიდან“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიმნაზიაში რომ შემიყვანეს, გავცეცდი: იმდენი ბავშვი, ერთად თავმოყრილი, ჩემს დღეში არ მენახა. მოზრდილები სკამზე ისხდენ სულგანაბულნი და ახალმოსწავლე პატარები-კი ჯგუფ-ჯგუფად კედლებთან იყვნენ ატუზული. აქ კედლებზე ირგვლივ ქაღალდის ფურცლები იყო ჩამოკიდებული, ზედ ანბანი და ამოსაღები ეწერა და იმას აკითხებდენ ყმაწვილებს. ჯგუფს ერთი უფროსი ჰყავდა და ის ასწავლიდა: ხელში ეჭირა წკეპლა და, შეეშლებოდა თუ არა ბავშვს კითხვა, უცხუნებდა და უცხუნებდა. ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდენ და, როცა შემოუვლიდენ კედლებს, მერე-კი ნება ჰქონდათ სხვებთან დამჯდარიყვენ ისინიც სკამზე. ამ ყოფაში იყვნენ, სანამ კითხვას ისწავლიდენ. უნდებოდენ ზოგჯერ წელიწადზე მეტს. წარმოიდგინეთ 7—8 წლის ბავშვი, დილის შვიდი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე მშიერ-მწყურვალი, და მაშინ იგრძნობთ, თუ რა ტანჯვაში იყვნენ ის საწყლები, ზოგს გულს ეყრებოდა, ზოგს თავბრუ ეხვეოდა და ეცემოდენ ძირს, მაგრამ ყურადღებასაც არავინ აქცევდა.

ჩემი უბედურება ის იყო, რომ რუსული არ მესმოდა. იმ დროს შემოღებული იყო საზოგადოდ თუნუქის ფირფიტა, რომელსაც მარკას ეძახდენ. ვინც ქართულად ხმას ამოიღებდა, მიაჩეჩებდენ ხელში და თანაც გრძელ ფიცარს — სახაზავს დაჰკრავდენ ხელის გულზე. მერე ის უნდა ცდილიყო, რომ სხვისთვის გადაეცა როგორმე იმრიგადვე, ე. ი. ჩაბარების დროს „ლინეიკა“ დაერტყა ხელის გულზე. ამგვარად ეს საცოდაობის ფირფიტა გადადიოდა ხელიდან ხელში. სწავლის გათავების დროს ვინც ვერ მოასწრებდა იმ ფირფიტის თავიდან მოშორებას და შერჩებოდა ხელში, უნდა კლასში დარჩენილიყო მთელი დღით უსადილოდ. ვინც რუსული არ იცოდა ახალშემოსულობის დროს, ხმის ამოღებას ვერ ბედავდა, დამუნჯდებოდა. ამ ჩვეულებას დიდი გამრყვნელი ხასიათი ჰქონდა: ყმაწვილები ცდილობდენ, რომ ერთმანეთი მოეტყუებიათ, გაებრიყვებიათ როგორმე და ცბიერობა-ფარისევლობას ეჩვეოდენ. სულ ერთი კვირის შესული არ ვიყავი, რომ მოვიდა ჩემთან ერთი პატარა ყმაწვილი, ანგელოზის სახის მქონე, და ტკბილის ღიმილით, მეგობრულად მკითხა რაღაც ქართულად; მეც, რასაკვირველია, რადგანაც სხვა ენა არ ვიცოდი, ქართულად ვუპასუხე. ყმაწვილს მშვიდობიანი სახე გადაუსხვაფერდა და სიხარულით მომაჩეჩა ფირფიტა. ჩამოვართვი, მეტი რაღა გზა მქონდა, მაგრამ „ლინეიკაზე“ ვერ დავეთანხმე. — რა გენაღვლება შენ, მე რომ „ლინეიკა“ არ დავირტყა, მარტო ვართ და ვინ გაიგებს-მეთქი, — ვეხვეწებოდი. ჩემმა მოწინააღმდეგემ შორს დაიჭირა: მე თუ დამარტყეს, შენ რა ჭრელი პეპელა ხარო?! მე მაინც არ დავეთანხმე, გავუძალადი, და იმან ჭუჭყუნი დაიწყო. მასწავლებელი რომ შემოვიდა, შივიდა და დამაბეზღა. დამიძახეს. გავედი შიშითა და კანკალით. მასწავლებელმა წარბები შეიკრა და მკითხა: როგორ ბედავ ურჩობასო? აქ შენი სახლი ხომ არ გგონიაო! მე თავის გამართლება დავიწყე, მაგრამ აღარ გამივიდა. — კარგი, მე გასწავლი ჭკუასო! დაუძახა „სტოროჟებს“ და უბრძანა: როზგიო! მე, ამის გამგონეს, თავში სისხლი ამივარდა და გაქცევა დავაპირე. — ნუ გაუშვებთ, დაიჭირეთო! — იყვირა მასწავლებელმა. იგრიალეს მოსწავლეებმა ჩემ დასაჭერად და გადამეღობენ კარებზე... მე მეორე ოთახში შევვარდი,





სადაც მესამე კლასი იყო. აქაც ერთი ალიაქოთი მოვახდინე, მაგრამ შევხტი ფანჯარაზე, გავამტვრიე მინები, გადავხტი და მოვკურცხლე შინისკენ. გამომიდგენ „სტოროჟები". წინ მე გავრბოდი კურდღელივით და უკან ისინი მომდევდენ კიჟინით.

„როტაში" არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თვითეულ კლასში. „სტოროჟებს" ურმებით მოჰქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი. მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო, დირექტორიდან დაწყებული „სტოროჟამდე". მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებია საუკუნოდ! ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ერთიდაიგივე ბავშვი ერთი დღის განმავლობაში სამჯერ-ოთხჯერ „გაროზგვილიყოს" სხვადასხვა უფროსებისგან. მახსოვს და არც დამავიწყდება ჩემს დღეში: ერთი რუსის ბავშვი იყო — კრიჟანოვსკი, ძლიერ მოუსვენარი რამ, მაგრამ სხვებ კარგი იყო. ერთხელ ნახევარი საათით დააგვიანდა კლასში მოსვლა და დირექტორმა „გააროზგვინა"; იმ დღეს გაკვეთილი არ იცოდა და მასწავლებელმა „გააროზგვინა"; სწავლა რომ გათავდა, ზედამხედველმა" გააროზგვინა": სახლში გიცელქნია და მეზობლის ბავშვისათვის ქვა გისროლია — გიჩივლესო! ამითაც ველარ გადარჩა, ყველამ ერთად დააბეზღა ინსპექტორს და იმანაც მოუნდომა „გაროზგვა". ეს ინსპექტორი შეუბრალებელი რამ იყო და მისი ისე ეშინოდათ, როგორც სულთამხუთავისა. კრიჟანოვსკიმ, ტანჯვა-

რომ ველარ აიტანა, იშვირა ხელი და ფეხი და გადავარდა რიონში. რომ შემთხვევით იქვე არ დასწრებოდა ერთი მეჯრელი მოსწავლე, ძალიან კარგი მცურავი, დაიღუპებოდა.

ვაი მისი ბრალი, ვისაც კარგი ხუჭუჭი თმა ჰქონდა! ერთ ყმაწვილს, გვარად ჭაჭიაშვილს, დიდი ყურები ჰქონდა. დიდი და პატარა ყველა ყურებში ავლებდა ხელს. ერთხელ გამხეცებულმა ზედამხედველმა შუამდის ააცლიჩა ყური; გაუსივდა და მხოლოდ რამდენიმე დღის განმავლობაში ისევ დაუწყო შეხორცება. მაგრამ ვინ აცალა შეხორცება! სტაცებდენ ხელს და ხელახლა აგლეჯდენ... ასე რომ გავიდა სასწავლებლიდან. ერთ მოსწავლეს — კლდიაშვილს — პირით დაჰკრა შუბლზე „ლინეიკა" და თავთხლე გადაადინა, ძვალიც კი გაუტეხა. გულშემოყრილი ბავშვი შინ წაიღეს. ამ გარემოებისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. ამისთანა რამეები უთვალავი იყო.

ერთხელ რომელიღაც მოსწავლემ ხაჭაპურები მოიტანა კლასში და ლატარიაში ჩააგდო თითო კაპეიკად. ყველამ მოაწერა ხელი. წამძლია სულმა და მეც მოვაწერე. შემოგვესწრო მასწავლებელი და იწყინა, როგორ გაგიბედავთ ხელისმოწერაო! აიღო დიდი, უშველებელი „ლინეიკა" ხელში. თითოთითოდ გაჰყავდა ხელის მომწერებლები; ჰკითხავდა: რომელი ხელით მოაწერეო? და, პასუხს რომ მიიღებდა, დაჰკრავდა ხოლმე, რაც ძალი და ღონე ჰქონდა; — კიდევ მოაწერო? — ეკითხებოდა დაცინვით. მე ყველაზე ბოლოში ვეწერე, რადგანაც ჩემი გვარი წილზეა და „ჟურნალში" ანიდან იწყება გვარების წერა. იმ დროს საბა ორბელიანის იგავ-არა-

კები წაკითხული მქონდა და მომაგონდა ოფოფის ხრიკი, თავის გადარჩენა რომ უნდოდა და მელა გააბრიყვა. იმ განყოფილებ ში წერის გაკვეთილი იყო. მე ვიფიქრე, რომ, თუ მარჯვენა ხელი მეტკინა, წერა გამიფუჭდება და, მოდი, მარცხენას გავიმეტებ-მეთქი. მეც, რასაკვირველია, მითხრა: აბა, დამნაშავე ხელი გამოაშვირეო! მე მარცხენა გავუშვირე. ჯერ დამკრა და მერე ეჭვი შეეტანა, რასაკვირველია, განგებ: მარცხენა ხელით როგორ მოაწერდიო. რომ გამოვუტყდი, მარჯვენა ხელზედაც დამკრა და გამიშვა. ტკენა ხომ ტკენა იყო, მაგრამ მე ის უფრო მტანჯავდა, რომ ჭკუა წავაგე და ორი „ლინეიკა“ დამკრეს, მაშინ როცა სხვები კი თითოთი გადარჩენ! ვტიროდი, ხელი მიკანკალებდა და, რასაკვირველია, კარგად ვეღარ დავწერდი! ნაწერები რომ გაარჩია მასწავლებელმა, დამიწუნა და კიდევ დამკრა „ლინეიკა“: უკეთ დაწერეო! კლასის გათავებამდის ოთხჯერ კიდევ დამკრა! ის დღე იყო და მას აქეთ ვეღარ გამოვბრუნდი. არ იქნა, ვეღარ გადავიგდე გულიდან ეს შემთხვევა. წერაში ხელი გამიფუჭდა და დღესაც კიდევ გაურკვევლადა ვწერ.

ტროეს კლასში ყველა მზად უნდა ყოფილიყო. ერთს რომ ჰკითხავდა, უცებ, მოულოდნელად სხვას რომელიმეს განაგრძეო — მიუბრუნდებოდა. აგრეთვე არ იცოდა ძველი და ახალი გაკვეთილი: მოულოდნელად ძველიდანაც გვკითხავდა ხოლმე. თვითეულ სკამს მიუჩინა თითო უფროსი შეგირდი, ისინი ჰკითხავდენ ყოველდღე გაკვეთილს მოსწავლეებს და ნიშნებს უსვამდენ. იმ უფროსებისათვის მერე მე უნდა მეკითხა და დამესვა ნიშნები. ზოგიერთი მათი შეგირდებიც უნდა შემემოწმებია და ის ნიშნები მიმერთმია მასწავლებლისათვის. რომ შემოვიდოდა, ისიც გადაათვალიერებდა და დასამოწმებლად გამოიხმობდა ზოგიერთებს. ერთი გაბაშვილი იყო ჩვენს კლასში, რომელიც სოფლიდან დადიოდა სასწავლებელში და კლასის დაწყებას, რასაკვირველია, ვეღარ მოასწრებდა ხოლმე. ამისათვის აჩოქებდენ იმ საწყალს კუთხეში კლასების გათავებამდე, ასე, რომ ფეხზე მდგარი ის სწავლის დროს ძვირად დაგვინახავს. ერთხელ დარჩენილიყო სადღაც და ქუთაისში ნათესავებში გაეთია ღამე. სამოსწავლო წიგნიც ეშოვნა (მაშინ არამც თუ გარეშე წიგნი, სახელმძღვანელო წიგნებიც ცოტა იყო, სულ რამდენიმე და ერთიმეორისაგან ვნათხოვრობდით) და გაკვეთილი კარგად დაესწავლა. ადრე მოვიდა, მაგრამ, რადგანაც დაჩვეული იყო, თავისთავად დაიჩოქა და ამისათვის ყურადღებაც არავის მიუქცევია. მის უფროს შეგირდს მისთვის კარგი ნიშანი დაესვა, მე შევამოწმე და მართალი გამოდგა. ტროემ რომ საზოგადოდ ყველას ნიშანი გადაათვალიერა, გაბაშვილის ოთხსაც მოჰკრა თვალი, გაუკვირდა და გამოუძახა. ჰკითხა და მისთანა თქვენს მტერს: ერთი სიტყვაც ვერ მიუგო! გადააქნია თავი და გამიხმო:

— ეს ნიშანი შენ დაუსვიო? — მკითხა.

— დიახ, მე მეთქი, ვუპასუხე.

— მერე, რათა, რომ არაფერი იცის?

— მე რომ ვკითხე — იცოდა.

— იცოდა?! ასე მალე, ორ წუთში როგორ დაავიწყდებოდა? აქ რაღაც სხვა ამბავია! — ბრძანა მრისხანედ. — შევიტყობ, რა არის. მაგრამ ჯერ არ მცალია. გაბაშვილო, წადი და შენ იქვე დაიჩოქე. სადაც იყავი, და შენც, წერეთელო, ბიდი მაგასთან და გვერდში ამოუდექ, სანამ ჩემი კლასი არ გათავდეს! მერე ორივეს ერთად დაგამოწმებთ.

თუმცა ყველაზე მეტი ჩვენ ტროესი გვეშინოდა, მაგრამ მისგან დასჯილი არ გვინახავს, და ახლა, როგორ გამიბედეს მოტყუებაო, ზომას გადავიდა.

— შე შეჩვენებულო, რა ჰქენი ეგა, აკი იცოდი? — დავეკითხე ჩუმად, კუთხეში რომ გავედით.

— ახლაც ვიცი, — მიპასუხა ტირილით.

— მაშ რატომ არ მოახსენე!

— ფეხზე რომ ვდექი, ვერ მოვახერხე. ეს რამდენი ხანია სულ დაჩოქილი ვსწავლობ და პასუხსაც ისე ვაძლევ. აი, თუ არ ვიცი — მოჰყვა ზეპირად. — რომ ავდგე, დამებნევა!

მასწავლებელმა მოგვატანა თვალი და მოგვაყურა. — რას ჩურჩულობთო? მე გავედი და მოვახსენე ყველაფერი. გამოიყვანა გაბაშვილი, დააჩოქა და ისე ჰკითხა. კარგად მიუგო; რამდენჯერმე გაიმეორა ეს ამბავი და ისე გაუკვირდა, რომ წამოდგა ზეზე, კლასს თავი დაანება და გასწია კანცელარიისაკენ. იქ რა ჩაიდინა, ვინ იცის, მაგრამ იმ დღიდან-კი გაბაშვილი დაჩოქილი არ გვინახავს.

ერთხელ, სწავლა რომ გათავდა და შეგვასვენეს, მე, რადგანაც დილას არა მეჭამა რა, შევირბინე



შინ, ვიგდე ახალუხის ჯიბეში ცხელი მჭადის კოკორი და ისე მივაშურე კლასს, არ დამაგვიანდეს შეთქი. ტროეს გაკვეთილი იწყებოდა. ფეხად შეესწრო ჩემთვის და ხუთი მოწაფე კიდეც გამოეხმო და გაემწკრივებია; შევყავი თავი თუ არა, მომაყვირა:—შენ, აქ მობრძანდი და დადექ ამათთანო! მივედი და გავჩერდი. ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა. მე შმაშური დავიწყე, ხელი მოვუსვი. ასე რომ ავტოკდი, მასწავლებელმა შემნიშნა და მკითხა: რა გემართებაო? დაფარვა აღარ შეიძლებოდა. — ამოაყოფინეს ჯიბიდან მჭადს თავი... შეგირდებმა გადაიხარხარეს. მასწავლებელმა ულვაშებში ჩაიცინა, გამომართვა მჭადი და წინ სტოლზე დაიდვა. მე სირცხვილის ოფლი გადამასკდა. დაგვიწყო გაკვეთილების კითხვა. ამ დროს, ჩემდა საუბედუროდ, ინსპექტორი შეთოვიდა. მაშინ კი ამიკანკალდა მუხლები. ეს ისეთი შეუბრალებელი ვინმე იყო, რომ ყმაწვილის „გაროზგვას" არა ერჩია რა. სულ უბრალო მიზეზი საკმაო იყო, რომ ოთხში ამოეღო. ერთხელ ერთსადაიმავე დროს ორი ბავშვი „გაროზგა": ერთი იმიტომ, რომ თმა წამოგზრდიაო, და მეორეც იმიტომ, რომ მეტად ძირში მიგიჭრიაო! ვიფიქრე: ეს მჭადი მე ხეირს არ დამაყრის-მეთქი! მართლაც, მოჰკრა თვალი თუ არა, დაიღრიალა: — ამ მჭადს რა უნდა აქ, ვინ მოიტანაო? ერთი მოწაფე, რომელიც ხშირად მექიშპებოდა ხოლმე, წამოხტა ზეზე და მოახსენა: წერეთელს ამოუღეს ჯიბიდანო!—რად მოგიტანია? — მკითხა მრისხანედ. მე ენა ჩამივარდა. მაგრამ მასწავლებელმა მოახსენა: ახლავ გაიგებთო, და მკითხა:—ეს რა არის? მჭადი-მეთქი, —'ვუპასუხე კნავილი'.

— რისგან კეთდება?

— სიმინდისგან.

— როდის თესავენ სიმინდს? რანაირად იზრდება? როგორ მუშაობენ? როგორ აკეთებენ მჭადს? და სხვანი ეს ყველაფერი გამომკითხა, და მეც პასუხს ვაძლევდი. რამდენიმე წუთს მკითხავდა და ბოლოს თქვა: კარგიო! ხვალ ნუ დაგავიწყდება ბრინჯის მოტანაო; ხვალ იმის შესახებ ვილაპარაკოთო. ინსპექტორმა იფიქრა: აქ სწორედ მასწავლებლის სურვილით მოუტანიათ მჭადიო და გავიდა კლასიდან ხმაამოუღებლად. მასწავლებელმა მაბეზღარი მოწაფე გამოიხმო და ჰკითხა: შენ არა გაქვს რა ჯიბეშიო? გაუსინჯა და კოჭი უნახა. — ეს რა არისო? ეს ხომ სათამაშოა, რომელიც კლასებში სრულიად გამოუსადეგარია და შენ კი ჯიბეში გიძევსო! წერეთელმა მჭადი მიტომ მოიტანა, რომ შიოდა და შეჭმა ვეღარ მოასწრო, და შენ კი სათამაშოდ დაბრძანდეები! კარგი, გაჩერდი მაგრე კლასის გამოსვლამდის! მე მაგ კოჭით წარგადგენ ინსპექტორთანო. იმ მოწაფეს ფერი ეცვალა და ატირდა. კლასი რომ გათავდა, მიუბრუნდა მტირალს და უთხრა: კარგი, ახლა კი მიპატივებია, მაგრამ შემდეგ-კი ფრთხილად იყავი: რაც შენთვის არ გინდა, იმას ნურც სხვას უზამო!

აკაკის

იყო დროება, ჯოჯოხეთს ჰგავდა,
გლეხებს ტვირთისგან სტკიოდათ წელი...
დაასამარა ახალმა ხანამ
დროგადასული ცხოვრება ბნელი.
თავისუფლების მზემ გაანათა
და აფრიალდა დროშები ცაში,
შენმა გმირებმა ეს დაინახეს,
შენ კი, მგოსანო, გეძინა მაშინ.

გმირებს ეძახდა და გაჰკიოდა
შენი დაფი და შენი ნალარა,
შენმა ლექსებმაც ბასრი ხმალივით
ძველი მთავრობის გული დაღარა.
ებრძოდი მუდამ უსამართლობას
და მიგაძინა ფიქრთა მიყოლამ...
წევრი გამხდარა სოფლის არტელის
მოხუცებული გლეხი კიკოლა.

დ. ბერიკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამალი

ფეხებზე იკრავს დეზებსა
და თავზე იდგამს ჯილასა,
გარს ეხვევიან ფრთოსნები
და რაღას ჰკითხავს ვილასა?
ბატონკაცურად ყოყოჩად
დადის და დაიარება,

თვალი თუ სადმე შეასწრო, —
ტოლი ნუ მიეკარება!
თუ გათენდება როდისმე
უმისოდ, არა ჰგონია,
და მისი მკვახე „ყიყლიყო“
სუყველას გაუგონია.

აკაკი

სხვიტორში

ეს იყო 1912 წელს.

ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფე ვიყავი.

თორმეტმა ამხანაგმა გადავწყვიტეთ მოგვეწყო ექსკურსია.

შედგა გეგმა: ქუთაისიდან მატარებლით ავიდოდით საჩხერეში, სხვიტორში მოვინახულებდით აკაკის, რომელსაც ხშირად ვხედავდით ქუთაისში და ვოცნებოდით იმ მომენტზე, ის რომ გამოგველაპარაკებოდა, ხელს ჩამოგვართმევდა, იოხუნჯებდა... მერე ქვეითად წავიდოდით, გადავივლიდით მთებს, ჩავიდოდით ცხინვალში, იქიდან გორში, უფლისციხეში... შემდეგ—მატარებლით ტფილისში, იქიდან — ცივგომბორით თელავში, მერე სიღნაღში... მთელი თვე მოუნდებოდა ამას.

შედგა გეგმა და კიდეც განხორციელდა.

რა ზღვა სიხარულით ძგერდა თორმეტი ახალგაზრდა გული, ჭიათურის „კუკუშკა“ რომ მიგვაქროლებდა...

ძლივს!

ვნახავთ აკაკის... მის სახლს... გამოველაპარაკებით...

ესეც სხვიტორი... აკაკის ხახლი...

სძინავს პოეტს.

ვიცდით. გადის ხანი... არ აღვიძებენ, ვერც შევკადრებთ, არც ეღვიძება...

წელმოწყვეტილნი გავბრუნდით. გაქრა ოცნება — ვერ ვნახეთ იგი. ნახევარ კილომეტრზე გავსცდით აკაკის სახლს. ცუდად დაიწყო ჩვენი მგზავრობა, „უილბლონი“ ვყოფილვართ.

მაგრამ... „ყმაწვილებო!“—გვესმის ძახილი. ვიღაც გამორბის, გვეძახის.

— აკაკიმ გამოიღვიძა, გთხოვათ დაბრუნდეთ...

აივანზე ზის მოცინარი აკაკი.

შევყურებთ თვალებგაბრწყინვებულნი, ვიჭერთ მის სიტყვებს...

ლაპარაკობს...

— ერთხელ მზარეულის აყვანა მინდოდა. გაეგო ერთ გლეხს, რომლის შვილიც მზარეულად ყოფილიყო სადღაც, და მოვიდა ჩემთან. სწორედ ამ აივანზე ვიყავი მაშინ.

— ბატონო აკაკი, — მითხრა მან. — ერთი ისეთი პოვერი[1]) ვიცი, რომ უკეთესი ნუ გინდათ. თქვენ გდომიათ პოვერი და...

*) დამახინჯებული რუსული „პოვარ“, ე. ი. მზარეული.

— დიახ, მზარეული მჭირდება. თუ კარგია, ავიყვან. თუმანს მივსცემ თვეში.

— ბატონო აკაკი, ერთი აქეთ გვნახეთ, — მითხრა მან და აივნის ბოლოსკენ მიმიპატიჟა. ჩვენს მეტი არავინ იყო იქ და მე ვიუარე:

— კაცო, აქ მითხარი, იქ სად მიგყავარ მეთქი.

— არა, ბატონო, აქეთ გვნახეთ ერთ წუთს, — მიმიყვანა კუთხეში და თვალების ნაბვით მითხრა:

— მიეცი, თუთხმეტი მანეთი მიეცი, პოვერია, პოვერი, არ წაგვებ...

— რა ვქნა, ჩემო ძმაო, მე მზარეული მინდა და „პოვერს“ ვერ ავიყვან მეთქი, — ვუთხარი და ძლივს მოვიშორე...

იღიმებოდა აკაკი, და ჩვენც სახარულით გვიელავდა თვალები...

ფოტოაპარატი მქონდა თან. გადავიღე აკაკის სურათი: შუაში აკაკი, ირგვლივ — ქართული გიმნაზიის 11 მოწაფე, მის გვერდით ყოფნით აღტაცებულნი...

როდესაც მთას შევუდექით, რომ ცხინვალში ფეხით ჩავსულიყავით, აკაკის ნახვით მუხლი გვქონდა გამაგრებული...

შ. თაბუკაშვილი

აკაკის სახლში

შენი სამშობლო დაბა საჩხერე,
სხვიტორის მიწა, სასახლე ძველი...
აქ საგრძნობია შენი სიცოცხლე
და ამოსუნთქვა უკანასკნელი.
დრონი და წლები შენ ვერ წაგშლიან,
ცოცხლობ ჩვენს გულში, საგანო გრძნობის,
და დღეს ვნახულობ კედლებს ასწლიანს,
უსიტყვო მოწმეს შენი ბავშვობის...
აქ გიტაცებდა შენ აღმაფრენა
და აქ წარმოთქვი სიტყვა პირველი,
აქვე დადუმდა ნარნარი ენა,
და დღეს სრულდება მეოცე წელი...

ქსენია სიხარულიძე

აკაკის ნაკვესები

1

ერთი მასწავლებელი უხეირო ლექსებს წერდა. ერთ დღეს აკაკი სოფელში მიდიოდა და სწორედ იმ მასწავლებელმა ათხოვა ჯაგლაგი ცხენი, თან ლექსების რვეული მისცა და უთხრა: თუ მოგეწყინოს, ამალამ ეს გადაიკითხეო.

მეორე დღეს ჰკითხა აკაკის: — ღამე როგორ გაატარეო?

— რა გითხრა — დღე შენმა ცხენმა დამტანჯა და ღამე კიდევ შენმა ლექსებმაო, — მიუგო აკაკიმ.

2

აკაკი აბასთუმანში იყო. სასტუმროში ზედმეტი იანგარიშეს. ანგარიში რომ გასინჯა, აკაკიმ თქვა:

— ახლა კი მივხვდი, რათა ჰქვია ამ მხარეს „აბასთუმანი“: თურმე, აბაზში თუმანს ახდევინებენო.

3

აკაკი მძიმე ავადმყოფი იყო. მის სანახავად მივიდა ერთი ბეითალი (საქონლის ექიმი). აკაკიმ რომ ის დაინახა, თქვა:

— ჩემს სიცოცხლეში სულ ვირივით ვმუშაობდი და ახლა თუ ვინმე მომარჩენს, ისევ ეს პირუტყვის ექიმი, თორემ ჩემი საქმე წასულიაო.

4

აკაკი ეტლით მიდიოდა თავის სოფელში. მის გვერდით ვილაკა მგზავრი იჯდა, რომელიც აკაკის ვერ იცნობდა. ის აკაკის ლექსებს ამბობდა ზეპირად, რითაც ძალიან გააკვირა პოეტი.

— თქვენ ვინა ბრძანდებით? შეეკითხა აკაკი.

— მე პოეტი აკაკი წერეთელი გახლავართ, — მიუგო მგზავრმა.

აკაკი გაჩუმდა.

როდესაც ეტლი გაჩერდა, მგზავრმა უთხრა: — მე რომ გითხარით, ვინც ვარ, თქვენ ვინღა

ბრძანდებით?

— რა ვიცი, აქამდისა კაკი ვიყავი და დღეის შემდეგ ვინა ვარ, მე თვით არ ვიცი,—მიუგო აკაკიმ.

5

აკაკი სადილად იყო დაპატიჟებული.

ერთი სტუმართაგანი წამდაუწუმ მღეროდა: „მიმინო მყავდაა მიყვარდა, მიმინო მყავდაა“.

მოთმინებიდან გამოსულმა აკაკიმ მოსწრებულად თქვა:

— მიმინო რომ ჰყოლოდა, ამდენი მწყერი აღარ ეყოლებოდაო.

6

აკაკი სტუმრად იყო.

თამადამ ყანწი მიაწოდა.

აკაკიმ ბოდიში მოიხადა — ვერ დავლევო.

თამადამ კისერში ჩაასხა მთელი ყანწი — თუ არ სვამ, აქ რად მოდიოდიო.

ერთ დღეს სხვებთან ერთად ეს თამადაც ეწვია აკაკის.

აკაკი სუფრას მიუჯდა და ლექსის წერა დაიწყო, მერე იმ თამადას სთხოვა — შენ განაგრძე ეს ლექსიო.

— მე რა ვიცი ლექსების წერაო, — უპასუხა გაოცებულმა სტუმარმა.

— როგორ თუ არ იციო? მაშ რად მიუჯექი ამ ჩემს მაგიდასო? — მიუგო აკაკიმ და მთელი საწერელი მელანი გადაასხა თავზე.

7

ერთმა უხეირო მსახიობმა უთხრა აკაკის:

— ვერ წარმოიდგენ, აკაკი, როგორ მიყვარს სცენა! როცა მე არა ვთამაშობ და სცენას ვუყურებ, სულ ჟრუანტელი მივლისო!

— მეც მაგ მდგომარეობაში ვარო, — მიუგო აკაკიმ.

აკაკი სტუდენტობის დროს.

— შენ რატომ?

— შიშისგან.

— რისა გეშინია?

— იმისი, ჩემო კარგო, რომ სცენაზე კარი არ გაიღოს და შენ არ შემოხვიდეო, — აუხსნა აკაკიმ.

8

ხონელ მეეტლეს აკაკი ქუთაისში უნდა წაეყვანა. უნდოდა კიდევ ეშოვნა მუშტარი და ხმამაღლა გაიძახოდა:

— ვის გინდათ, ვის გინდათ?

ბოლოს აკაკიმ უთხრა:

— ხომ ხედავ, არავინ მყიდულობს, მითხარი, რამდენად ვარ დაფასებული, იქნებ ჩემი თავი მე გამოვიყიდოვო.

დიდი პოეტი აკაკი წერეთელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატი, იცი, ვინ იყო აკაკი წერეთელი?

— როგორ არ ვიცი, ძია კოტე, ის იყო კარგი ლექსების დამწერი! მისი ერთი პაწია ლექსი „პეპელა“ ბავშვობისას მისწავლია.

— აბა თქვი, თუ გახსოვს?

„ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იამა“...

— ო, ეს ლექსი მეც ვიცი! — წამოიძახა ცქრიალა ტასომ და განაგრძო უცებ:

— ალერსით უთხრა პეპელას:
თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არ გღალავს მთელი დღე
მოუსვენარი ფრენაო?!

აი ამ საუცხოვო ლექსის და სხვა მრავალის დამწერი იყო დიდი პოეტი აკაკი წერეთელი.

— ახლაც ცოცხალია? — შეეკითხა შალიკო.

— არა, უკვე ოცი წელია, რაც მიიცვალა, და ახლა მადლიერი ხალხი აღნიშნავს აკაკის მიცვალების ოცი წლის თავს. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები ათავსებენ მის სურათებს და წერენ მასზე მრავალ მოგონებას.

— ძია კოტე, შენ გინახავს აკაკი წერეთელი? — შეეკითხა თამრო.

— მინახავს და ვიცნობდი კიდეც კარგად.

— აბა, ძია, გვითხარი რამე აკაკიზე!

ამ სიტყვებით შემოეხვივნენ პიონერები მუშაკის ლექტორს.

— სიამოვნებით. დიდი, წარმოსადეგი მოხუცი, ჭაღარა წვერ-ულვაშით შემკული, ბადრი ლამაზი სახე ღიმილით გაბრწყინვებული... ლომის ფაფარს ძოგაგონებდა მისი თეთრსირმეული გაჩეჩილი თმა, — ასეთი იყო ჩვენი საყვარელი პოეტი აკაკი, როცა პირველად ვნახე იგი და გავიცანი ტფილისში ამ 30 წლის წინათ.

— როგორი ხმა ჰქონდა? როგორი საუბარი? — ასწრებდენ ბავშვები ერთიმეორეს შეკითხვებში.

— შესანიშნავი ტკბილი, საამო ხმა, მოხდენილი საუბარი, მოსწრებული სიტყვებით შეზავებული... ამიტომ მის ირგვლივ მუდამ გამეფებული იყო მადიანი სიცილ-ხარხარი. თავისი გარეგნობით და საუბრით დიდი პოეტი იზიდავდა ყველას, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას. მუდამ ეხვია მას მეტადრე ახალგაზრდობა, აკაკის საამო საუბრით ბევრს სასარგებლო რამეს იძენდა და ითვისებდა იგი.

— ბავშვები ხომ უყვარდა აკაკის? — შეეკითხა ტასო.

— ძალიან. ის ხშირად არის დახატული ბავშვებში. უწერდა მათ ლექსებს. აი, მაგალითად: ერთ ბავშვს თურმე მეტად სძულდა ვერმიშელი. სადილზე მოიტანეს სხვათაშორის ვერმიშელის წვენი. ბავშვმა არ მიიკარა იგი, ოჯახის დიასახლისი მამიდა გაუჯავრდა ბავშვს. აქვე იყო აკაკი წერეთელი, ამ ოჯახის ხშირი სტუმარი; აკაკიმ მიმართა ბავშვს და უთხრა კაფიალექსად:

„თუ არ ჭამე ვერმიშელი,
მიგტყეპენ და ვერ გიშველი“.

პიონერებს სიცილი აუტყდათ.

— უი დედა! რა ხუმარა ყოფილა ძია აკაკი! — წამოიძახა თამრომ და გადიკისკისა.

— აი კიდევ მეორე მისი სახუმარო ლექსი: იყო ერთი მედუქნე, ანდრია კ-ძე, რომლისგანაც დიდი აკაკი სესხულობდა ფულს წვრილ-წვრილად, რადგან ჩვენს პოეტს ხშირად აწუხებდა უფულობა. დაგროვდა ვალი. აკაკი ისევ სთხოვდა ფულს, მაშინ ანდრია მედუქნემ მისწერა აკაკის ლექსად:

— „ბატონო აკაკი,
ფულის თხოვნა აწ კარგი,
თუ დროით არ დამიბრუნე,
წელშიაც მოვიკაკვი“.

იმავე ბარათზე აკაკიმ უცებ დაუწერა შემდეგი:

„ჩემო ძმაო ანდრიაო,
ფულის თხოვა ადრეაო,
აქამდე ჭკუით იყავი,
ახლა რამ გადაგრიაო?“

ბავშვებს კიდევ აუტყდათ სიცილ-ხარხარი.

— როგორც ჩანს, ძია აკაკი მეტად ენამახვილი ყოფილა! — წამოიძახა რატიმ.

— ოო, მეტისმეტი! მისი მოსწრებული სიტყვები, ანუ ნაკვესები, ბლომადაა გაბნეული ხალხში.

— ძია კოტე, გვითხარ აკაკის რომელიმე ნაკვესი! — შეეხვეწენ პიონერები.

— ერთხელ ჩვენი დიდი პოეტი სეირნობდა, თურმე, ტფილისში, რუსთველის გამხირზე, ახალგაზრდებით გარემოცული. თავზე ეხურა ირმის ტყავის ქუდი. შეხვდენ ნაცნობები. მისალმების შემდეგ შენიშნეს ხუმრობით: ბატონო აკაკი, ეგ რაა, ირმის თავი რომ გამოგიბამსო? —

— ოხრებო, თქვენ კი მუდამ ვირის თავი გაბიათ, მარა არაფერი მითქვამსო.

პიონერების კისკისს საზღვარი არ ჰქონდა.

— ძია კოტე, გეთაყვა, თქვი კიდევ აკაკის რომელიმე ნაკვესი! — შეეხვეწენ პიონერები.

— კმარა, ბავშვებო! ახლა უფრო სერიოზულ რამეს შევეხოთ. 50 წლის მანძილზე წერდა აკაკი უამრავ რამეებს ლექსად და პროზად: წერდა პოემებს, მოთხრობებს, დრამებს, ლირიკულსა და სარკასტულ (მწარე დამცინავ) ლექსებს. ვაი იმას, ვისაც აკაკი ჩაასობდა კბილს: სარკაზმით მიწასთან ასწორებდა ხალხის მტრებს. ასეთია, მაგალითად, მისი ლექსები: „ნადირობა“, „დათვის წვეულება“ და სხ. აკაკის სძულდა მეფის რეჟიმი, სძულდა უნიჭო, უვიცი, ლოთი და გარყვნილი მოხელეები („ჩინოვნიკები“), სძულდა მეტიჩარა ინტელიგენტები, მატყუარა ვექილები, ცრუ საზოგადო მოღვაწენი, განსაკუთრებით კი სძაგდა ცენზორები, ეს ბეჭდვითი სიტყვის ჟანდარმები, რომელთაც აკაკი ეძახდა „ტვინმეისტრებს“. აი ამ პირებს სასტიკად ამათრახებდა იგი თავის სარკასტულ ლექსებში. ეს ლექსები ხელნაწერად გადადიოდა ხელიდან ხელში, ამ ლექსებს იზეპირებდა ხალხი.

— ვინ უყვარდა აკაკის, ძია კოტე? — შეეკითხა შალიკო.

— აკაკის უყვარდა მშრომელი ხალხი, გლეხობა, მუშები, წყნარი ინტელიგენტი მუშაკნი, მოსწავლე ახალგაზრდობა და ბავშვები. ამ 70 წლის წინათ, როცა ჩვენში გადავარდა ბატონყმობა და გლეხი განთავისუფლდა ბატონის, ე. ი. თავად-აზნაურთა მძიმე ბეგარისაგან, აკაკიმ დაწერა შესანიშნავი ლექსი „იავნანა“, რომელიც მაშინვე გაიზეპირა ხალხმა და ამღერებდა ჩანგურზე.

— ნეტა რა ლექსია ასეთი! — წამოიძახა ტასომ, — იქნებ გახსოვს, ძია კოტე, თქვი, გეთაყვა!

— მახსოვს მხოლოდ ზოგიერთი ტაეპი. იწყება ასე:

გაბუტულო გლეხის შვილო, შე პაპაწინაო,
ასე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო?!
დედის მკერდში მიგიგნია შენ ტკბილი ბინაო,
დაიძინე, ვარდო, ნანა, იავ, ნანინაო...
გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო,
ბატონი არ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო,
ბატონის შვილს შენ სკოლაში გვერდს მოუჯდებიო,
აბა შენ იცი, ბიჭოჯან, როგორ ეცდებიო.
გლეხსა ნიჭი არა აქვსო, არ აფიქრებიო...

ეს ლექსი საკმაოდ დიდია, ამ ლექსში დასურათებულია გლეხის მწარე წარსული და ბრწყინვალე მომავალი.

ბავშვები ჩააფიქრა ამ ლექსმა და ზოგის თვალზე ცრემლიც კი აციალდა.

— ძია კოტე, წეღან თქვი, აკაკიმ დაწერა შესანიშნავი პოემები, დრამები და მოთხრობებიო, რა ჰქვია მათ? — შეეკითხა თამრო.

— აკაკის პოემებში საუკეთესოა „თორნიკე ერისთავი“ და „ნათელა“, დრამებში — „პატარა კახი“, „თამარ-ცბიერი“, „მედეა“, მოთხრობებში კი „ჩემი თავგადასავალი“ და „ბაში-აჩუკი“. ყველა ეს განსაკუთრებით ისტორიული ხასიათისაა, ამათში უმთავრესად გამოხატულია ქართველების მწარე წარსული, მუდმივი ბრძოლა შემოსეულ მტერთა წინააღმდეგ, ტანჯვა და სისხლისღვრა.

— აკაკის ხომ აქვს მუშური ლექსები? — შეეკითხა შალიკო.

— როგორ არა! მისი ერთი მუშური ლექსი ასე იწყება:

— სიმინდსა თოხნა დავუწყოთ,
ერთხმად დავძახოთ მუშური,
ეგებ მაშინ დავივიწყოთ,
რომ გლეხნი ვართ უბედური,
მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისაც გვმართებს სამსახური;
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,
უპატრონო, უბედური.
ყველა თავში გვიჩაჩქუნებს,
გარეშე და შინაური,
ცხელსა მიწას უხვად ალბობს
ოფლი, ჩვენგან მონაწური.

— რა მშვენიერი ლექსია! — წამოიძახეს პიონერებმა. — როდისაა დაწერილი?

— ეს ლექსი აკაკიმ დაწერა ბატონყმობის გადავარდნამდის, 1861 წელს.

1905 წლის რევოლუციას მოხუცი აკაკი დიდი აღტაცებით შეხვდა და დაწერა ცარიზმის წინააღმდეგ ლექსი „ძირს მთავრობა“ — იგი ასე იწყება:

„ძირს მთავრობა უსამართლო!
ველარ ვითმენთ გასაჭირსო;
ყოველი მხრივ გეძახიან:
ძირს, მთავრობა, ძირს, და ძირსო!“

— ძია კოტე, კიდევ აქვს აკაკის ასეთი ლექსები? — შეეკითხა თამრო.

— როგორ არა, ჩემო კარგო! მას აქვს ერთი მშვენიერი ლექსი „ჭალარა“. აი ეს ლექსიც:

„არა! აყვავდეს იმედი!
გულს ვერ გამიტეხს ჭალარა!
გმირებს დაეძებს, უყივის
ჩემი დაფი და ნალარა“...

და მართლაც მალე გამოჩნდენ გმირები ჩვენსა და რუსეთში. იმათ ისარგებლეს მსოფლიო ომით, გაამხნევეს და აამოძრავეს მშრომელი ხალხი — მუშები და გლეხები, აანთეს რევოლუციის დიდი ცეცხლი, დალეწეს მეფემტარვალის დამპალი ტახტი, წარმოშვეს დიდი ოქტომბერი, დაამხეს მემამულენი და ბურჟუა-კაპიტალისტები და მიანიჭეს მშრომელ ხალხს სასურველი თავისუფლება და ახალი ცხოვრების დიდებული ხანა.

— ნეტა ვინ იყვნენ ეს გმირები? შეეკითხენ პიონერები.

— ისინი ბევრია, ყველას ვერ ჩამოვთვლი, იმათში კი უდიდესი გმირები არიან...

— ძია ლენინი და ძია სტალინი! — აღტაცებით შეჰყვირეს ბავშვებმა.

სიმონ ქვარიანი

პირველი გაცნობა

ეს იყო 1908 წელს.

ვიჯექ ჩემს სახლში და გატაცებით ვკითხულობდი. ერთ დღეს, როცა მე იბსენის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებს, სახელდობრ „ბრანდს“, ვკითხულობდი, კარები გაიღო და ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი და დაუდეგარი საზოგადო მოღვაწე მარიამ დემურია შემოვიდა.

ცოტა რომ დაისვენა, ჯერ მოთხრობის დაწერა მთხოვა და მერე სიცილით მომმართა:

— ჩემო ცქვიტო, გუშინ აკაკი წერეთელი იყო რედაქციაში და შენ გკითხულობდა. მე დამავალა, რომ უსათუოდ მის ბინაზე მიგიყვანო და გაგაცნო.

რასაკვირველია, ამ ამბავმა ფრთები შემასხა და ძლიერ გამეხარდა, რომ დიდ პოეტს ჩემი გაცნობა მოესურვებია.

მეორე დღესვე გულისფანცქალით ვეახელ მარიამ დემურიას რედაქციაში და ცოტა ხნის შემდეგ აკაკის ბინისაკენ გავემგზავრეთ.

აკაკი იმჟამად სასტუმრო „ფრანციაში“ ცხოვრობდა, ერთი ოთახი ეჭირა, რომლის ფანჯრებიც ძველ სასულიერო სემინარიას და და მის პირდაპირ გაშენებულ პუშკინის ბაღს გასცქეროდა.

გული ისე მიძგერდა, თითქო ყურებში ბოლს უკრავენო, როდესაც მისი კარები დავაკაკუნეთ.

კარი სწრაფად გაიღო, და სახეგაშუქებულმა, დიდთავიანმა ჭალარა პოეტმა ტკბილი ღიმილი კარებშივე მოგვაგება.

— ააა... ეს მართლა ცქვიტი გოგონა ყოფილაო, — მომმართა აკაკიმ, ხელი გამოიწოდა და თავის სკამზე მაგიდასთან დამსვა.

თვითონ თავის საწოლზე ჩემ პირდაპირ ჩამოჯდა და მარიამ დემურიაც გვერდით მოისვა.

ლაპარაკი ჟურნალ „ნაკადულში“ მოთავსებულ ჩემი მოთხრობების შესახებ ჩამოაგდო და შემდეგ მკითხა — რომელი მწერალი უფრო მოგწონს და რომლით ხარ მეტად გატაცებულიო. მე დავუსახელე იბსენი, ტურგენევი, ტოლსტოი, პუშკინი და ლერმონტოვი.

აკაკის თავი ოდნავ უკან გადაეწია, პირი ცოტა ღია დარჩენოდა და ალმაცერად მომჩერებოდა ღიმილით. სიტყვა რომ გავათავე, ადგა, მაგიდის ზარი დააწკრიალა, და სასტუმროს მსახური რომ შემოვიდა, კნეინა ორბელიანის მოპატიჟება დაავალა.

სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში კარი ისევ გაიღო და ჯერ ისევ მშვენიერი სახის, ულამაზესი დიდი თვალებით, მაგრამ უკვე მოხუცებაში შესული ლეჩაქყურგადაგდებული ქალი შემოვიდა.

— აი ეს არის პოეტი ქალი ნინო ორბელიანი, — ღიმილით მითხრა მარიამ დემურიამ.

გამიკვირდა. ამ პოეტის არსებობა პირველად გავიგე და გაოცებით და მოკრძალებით გავუწოდე ხელი.

— აბა, ჩემო ნინო, — მიმართა მას აკაკიმ, — აკი გითხარი, ჩემი წირვა გამოსულია მეთქი. ნეტა რიღასთვისა ვწერთ მე და შენ? ახლანდელი ჩვენი ახალგაზრდობა მხოლოდ უცხოელი მწერლების აზრითა და გრძნობებით იკვებება, და მე და შენ კი ტყუილად ვჩხირკედელაობთ. აი ეს გახლავთ ახალგაზრდა მწერალი ცქვიტი, რომელსაც უცხო მწერლები შეჰყვარებია და ქართველი ერთი მწერალიც კი არ დაუსახელებია. ალბათ, არ მოსწონს და სრულიადაც არ კითხულობს.

აკაკის სიტყვა ლახვარივით მეცა და გულისხმაში ჩამაგდო.

საშუალო სასწავლებლებში ქართულ ენას მხოლოდ წერა-კითხვის სახით გვაწვდიდენ და იქიდან არაფერი არ გამოგვქონდა.

ქართული ენის გემო და სიყვარული სოფლელებს მხოლოდ სოფლის სკოლიდან, იაკობ გოგებაშვილის „დედაენიდან“ მოგვყვებოდა, და ისიც რამდენიმე წლის შემდეგ, უცხო ლიტერატურისა და ენის შეთვისებისას, სრულიად ქარწყლდებოდა და იჩქმალებოდა.

მე ვითომ მწერალიც ვიყავ, მაგრამ, გულახდილად უნდა აღვიარო, თვითმპყრობელობის სკოლის უკუღმართი გავლენა ძველი ხურჯინივით მხრებზე ძლიერ დიდხანს მეკიდა.

მეტი რა გინდათ, პოეტ ქალ ნინო ორბელიანის არსებობა იმ დღეს აკაკის წყალობით პირველად გავიგე.

აკაკიმ ნინო ორბელიანს და მარიამ დემურიას თანამედროვე არანორმალური მდგომარეობის რამდენიმე ფაქტი მოუყვანა, თანაც მწარე ღიმილით თვითმპყრობელობის მიერ ჩვენი გადაგვარების გაიძვერული პოლიტიკა შეაჩვენა და მერე პირადად მე მომმართა:

— მე კი მეგონა, რომ შენი გაჩარხული, ლამაზი ენა ქართული ლიტერატურის დიდი ცოდნისა და სიყვარულის შედეგი იყო. მაშ სად ისწავლე ასეთი ენით წერა?!

მე ვუპასუხე: სოფელში ვცხოვრობ და სოფლელებმა მასწავლეს მეთქი.

ამ დროს სწორედ აკაკის ფანჯრის პირდაპირ ბაღის ტროტუარზე ვიღაცა მათხოვარმა თავისი ჭიანური ააწრიპინა და ყვავილისაგან თვალებაშრეტილმა ჩახლეჩილი ხმით აკაკის „საყვარლის საფლავს ვეძებდი“ შემოსძახა...

ცქვიტი



მგოსანო, შენი ჭირიმე,
ცაფირუზშემოქარგულო!
ბავშვებმა შემოგითვალეს
სალამი საგაზაფხულო:
დიდხანს ნაზამთრი ბუნება
დღეს ზეიმობს და მღერისო,
კვლავ ეფინება ქვეყანას
ხმა შენი ლექსის ჟღერისო,
მინდვრად ყვავილნი გაშლილან,
ბუჩქებში ნაზი იაო,
„წითელ ვარდს შენდა საქებრად
კოკორი გაუღიაო“.
მთესველი შენს მზეს შეხარის,
მუშაც არ რჩება შინაო,
სოფელმა ტახტად გაგიგო
უხვი ფერების ბინაო.
მანდარინებს და ნარინჯებს
გადაუქარგავს ველიო,
საწყალს, ბეჩავს და მძინარას
გამოუღია ხელიო.
იქ, სადაც წინათ შლამნარში
დასისინობდა გველიო,
ახლა ყვავილობს ტევრებად
ლიმონი ოქროსფერიო.
დიდხანს ნაზამთრი ბუნება
დღეს ზეიმობს და მღერისო,
კვლავ ეფინება ქვეყანას
ხმა შენი ლექსის ჟღერისო...

მიმძრალი

აკაკი „ჯეჯილის“ რედაქციაში

1911 წელს დიდი თოვლიანობის შემდეგ კარგი ამინდი დადგა. გაზაფხულის ლამაზმა თვემ, მაისმაც, ფართოდ შემოანათა და ტფილისის მიდამოები--ვერა, ორთაჭალა, კრწანისი და სხვა — ვარდ-ყვავილებით მოფინა. დილის ბრჭყვიალა, ციმციმა მზემ საბავშვო ჟურნალ„ ჯეჯილის“ რედაქციაშიაც შემოიჭვრიტა.

ამ დილითაც ჩვეულებრივ ხალისითა და უშრეტი ენერგიით მუშაობდა ბავშვების საყვარელი მწერალი და რედაქტორი დეიდა ტასო (ანასტასია თუმანიშვილი — წერეთელი). როდესაც „ჯეჯილის“ მორიგე, მაისის, ნომერს ვამზადებდით, რედაქციის ფანჯარას აივნიდან მოადგა მაღალი, ახოვანი, თოვლივით თეთრ თმა-წვერ-ულვაშა მოხუცი.

დეიდა ტასო შეკრთა, აფუსფუსდა... ამ დილით არავის მოელოდა.

— აკაკი, აკაკი, აკაკი მოსულა! — წამოიძახა მან. — შენს გაზრდას, — ასეთი მომართვა იცოდა ტასომ, — კარი გაუღე, სთხოვე მობრძანდეს. მე აქაურობას მივალაგებ, აბა, ჩქარა! არ ალოდინო!

სიხარულმა ამიტაცა. აკაკი წინათაც ბევრჯერ მინახავს: ქუჩაში, თეატრში, მომისმენია მისი ლექცია, რომელიც წაიკითხა სახალხო სახლში მუშებისათვის! ამ ლექციის გამო ლექსიც კი ვუძღვენი, რომელიც დაიბეჭდა სახ. არტისტის ვალერიან გუნიას ჟურნალ „ნიშადურში“ 1908 წელს. მაგრამ ახლა მე ის მახარებდა, რომ პირადად გავიცნობდი, დაველაპარაკებოდი.

— ტასო შინ ბრძანდება?

— შინ გახლავთ, ბატონო აკაკი, მობრძანდით, — მივმართე მორიდებით და დარბაზში მივიპატიჟე.

— თანამშრომელი ხარ?

— დიახ, ბატონო!

— შენი სახელი?

— ლადო გახლავართ — და ჩემი გვარიც ვუთხარი.

— სასიამოვნოა, — მითხრა მან და ხელი მეორედ ჩამომართვა. — ლექსები რომ მიძღვენი, ის შენა ხარ? მომეწონა!

გავწითლდი და თავი ჩავღუნე.

— ნუ მორცხვობ, იბეჯითე და შედეგსაც კარგს მიიღებ... კარგი ახალგაზრდა ჩანხარ.

— ჩემს იშვიათ სტუმარს ვახლავარ, — მიმართა რედაქციის ოთახიდან გამოსულმა ტასომ და ხელი ჩამოართვა. — კედელს ნახშირი! საიდან, რატომ ლექსები არ მომაწოდე?

და დეიდა ტასომ გახსნა საყვედურების გუდა. ის საყვედურებით იკლებდა ყოველ პოეტსა და მწერალს, რომელიც მის ჟურნალს მასალას არ მიაწოდებდა.

დიდხანს ილაპარაკეს. მე სამუშაო ოთახში შევედი და ჟურნალისათვის მოთხრობა გავასწორე, საჩქარო იყო. ამასობაში რედაქციაში ჩვენი საყვარელი მწერალი ეკატერინე გაბაშვილი შემოვიდა. ემასლაათა მგოსანს და, რადგანაც ეჩქარებოდა, მალე წავიდა.

დეიდა ტასომ აკაკი სადილად მიიპატიჟა. სადილზე ბევრი ითქვა ქართული მწერლობის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბავშვო მწერლობის მდგომარეობას.

— აი, შიო მღვიმელი ყოველ ნომრისათვის მაწოდებს მასალას.... ახალგაზრდებიდან ნაყოფიერად მუშაობენ გ. ქუჩიშვილი, დ. თურდოსპირელი, ი. გრიშაშვილი, ეს ახალგაზრდაც, — მიუთითა ჩემზე. — ხომ გაიცანი?

— გავიცანი! ახალგაზრდებს ენერგია შესწევთ, მე კი მოვხუცდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, პიროობას გაძლევ, რომ ლექსებს მოგაწოდებ! — უთხრა ტასოს მგოსანმა.

მართლაც, ამის შემდეგ მრავალი ლექსი გამოუგზავნა აკაკიმ რედაქციას.

ნასადილევს დიდმა მგოსანმა მოისვენა. კარგახანს ეძინა.

ვიდრე ის ისვენებდა, ტასომ ჩაიც დაამზადა.

ჩაიზედაც ენაწყლიანად ოხუნჯობდა მგოსანი. თვითონაც ბევრი იცინა და ჩვენც გვაცინა. ძალიან ბევრი ანეგდოტი გვიამბო! ზოგს თვითონ იგონებდა, ზოგიც გაგონილი ჰქონდა.

როცა წასვლა დააპირა, ტასომ მთხოვა, — კიბეზე ჩაჰყევი, არ დაეცესო.

— უნდა გამოგიტყდე, ამ მიქცეულმა და ჩამოღრეცილმა კიბემ შემაძულა აქ მოსვლა, თორემ მწერალი სხვაგან აბა სად უნდა წავიდეს, თუ არა რედაქციაში! — მითხრა მან კიბეზე ჩასვლის დროს.

გამოვეთხოვე... მაგრამ გული არ მითმენდა, უკან გავყევი! რუსთაველის (მაშინდელი გოლოვინსკის) პროსპექტზე ვიდექი და დიდხანს თვალს არ ვაშორებდი ოპერის თეატრისაკენ მიმავალ დიდ მგოსანს.

ლადო გეგეჭკორი



შენც ხომ იყავი ჩვენებრ პატარა,
პატარა ბიჭი ხალისით სავსე,
თუმცა ცხოვრებამ სხვა გზით გატარა
ყმაწვილკაცობის ეკლიან გზაზე.
გაგიხარია ბავშვური ხედვით,
მინდვრად პეპელებს შენც ხომ იჭერდი,
გულით გიყვარდა სხვიტორის ქედი
და სავანელი გლეხის ბიჭები.
გინახავს წვიმა, ღვარი და თქეში,
დაგიდგამს რუზე წისქვილი ბორბლით,
თითქოს იყავი მოხრილი წელში
მოხუცი კაცი, დამფქველი ხორბლის.
გახსოვს ზამთარი, გუნდა და ციგა,
ცეცხლით შერუჯულ მუხლების ფერი,
იქვე გლეხებთან ლექსებიც გითქვამს
და შაირებიც ბევრი და ბევრი.
მაგრამ სხვა იყო ჟამი ცბიერი,
მწარე ნაღველი გულში რომ დაგრჩა,
ნახე, იგემე სულ სხვა იერი —
ზოგის განცხრომა და ზოგის გარჯა.
იცავდი ჩაგრულს, მიგაჩნდა მოძმედ,
გულს არ იტეხდი მაინც ჭალარა,
მრავალ დროების იქნება მოწმე
შენი დაფი და შენი ნაღარა!
ჩვენ სულ სხვა გზებით მივდივართ ახლა...
ჩვენ ახალ ქვეყნის გულში ვიჭრებით...
როგორ ხარობენ, ნეტა განახვა,
დღეს სავანელი გლეხის ბიჭები...

სანდრო ულენტი

აკაკი აღზრდის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი სოფელში დაიბადა. თავისი სოფლისადმი სიყვარული მას სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის შერჩა. სოფელმა აკაკიზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. თავის ნაწერებში ქალაქზე მეტ უპირატესობას ყველგან სოფელს აკუთვნებს. მოსწონს სოფლური საბავშო თამაშობანი. აკაკი ვერ ურიგდება მაშინდელ ქალაქის სკოლებში შემოღებულ „გიმნასტიკას". ამას იგი ბავშვის სხეულის ტანჯვას უწოდებს. ამგვარად აკაკი ქალაქსა და სოფელს ერთმანეთისაგან თიშავს. აკაკის თვალსაზრისი აღზრდის შესახებ თანადროულობისათვის მიუღებელია, მაგრამ წარსულის გასაცნობად მაინც ძვირფასია.

რედაქცია

ყმაწვილი, რომელიც-კი სოფელში არ გაზრდილა, ბუნებაზე სრულიად მოსხლეტილია. ის არის მოკლებული უპირველეს ბედნიერებას. ქალაქში გაზრდილ ბავშვს, გენიოსიც რომ იყოს მისი მასწავლებელი, სიტყვით და ნახატებით ისე ვერ გააცნობს ბუნებას, როგორც სოფლელი იცნობს თავისი საკუთარი ნახულობით. სოფლელს თვალწინ უდგას ყოველთვის ბუნება მისი სხვადასხვაფერობით, გაცნობილი ჰყავს ყოველგვარი ოთხფეხი, ფრინველი, ქვემძრომი, მწერი, მცენარე და იცის მათი ზნე და ჩვეულება; ყველა მის თვალწინ იბადება, იზრდება, იშლება, იფურჩქნება, აყვავდება, მოაქვს ნაყოფი და კვდება, ყველა მათგანის ჭირისა და ლხინის თანამოზიარეა და ამიტომაც ეთვისიანება მათ.

რომელ მხატვრობას შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი თავისი თვალით ხედავს. ავიღოთ, თუ გინდა, სულ უკანასკნელი: აი, მოდის, მოღრუჩუნებს დედაღორი და მას ცქრიალით უკან მოსდევს პატარ-პატარა ჭყივილა გოჭები, ძუძუს ეხვეწებიან... დედა მიდის სადმე ჩრდილში და წამოგორდება მხართეძოზე, მისცვივდებიან შვილები, მიეძაბრებიან ძუძუებს, სიამოვნების ნიშნად აქიცინებენ პატარა გადაპრეხილ კუდებს, და დედაც თვალდახუჭული დაჰხარის, დაღრუჩუნებს მათ... აგერ კრავები კუნტრუშობენ, თიკნები დახტიან, გოჭები ჭიდაობენ, კვიცები კოტრიალობენ და სხვანი — სულ მრავალფერობა და სხვადასხვაობა... უყურებს ბავშვი და, თვითონაც გულშექნილი, ხტის და თამაშობს. ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი.

„გიმნასტიკაო"—მეტყვით... მაგრამ გიმნასტიკა მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვა. სხვადასხვა ნაწილებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს... მე ეგება მარტო ფეხი მინდა ვავარჯიშო და ამ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს, და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუარად უჩვენებს. „გიმნასტიკის" დროს-კი, წინააღმდეგ ჩემის მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვის ბრძანებით ვიმოძრაო. მაგალითად, მე როცა სირბილი მინდა, ის გამაჩერებს ერთ ადგილზე, მომცემს ხელში მძიმე რკინებს და, გინდა თუ არა, ხელები ავარჯიშეო... ხელოვნებას შეუძლია, რომ დაიმორჩილოს, ე. ი. დაამახინჯოს ბუნება, მაგრამ რომ შესცვალოს და თავისი სურვილით ვითომ გააუკეთესოს, — არა მჯერა. აბა წარმოიდგინეთ, ერთი მხრით, თავისუფალი, შველივით მონავარდე სოფლელი ბავშვი, და მეორეს მხრით — „დაჩანჩურებული" ქალაქელი ყმაწვილი, ფეხსაცმელი უჭერს და მაზოლები სტანჯავს.. გამოსუდრულა ტანსაცმელში, საძრაობა აღარ აქვს, ეუბნებიან, ჭკვიანად იყავი, რაც ჩვენ გირჩიოთ, მხოლოდ ის იკისრე შენცო.... იმ საბრალოს ერთი გაკოტრიალება ქვეყანას ურჩევნია, მაგრამ განა გაბედავს, რომ ტანისამოსი დაისვაროს... იზრდება ბრძანებით მომავალი ჭლექი და მუმია.

ქართველების ოდენი სხვადასხვაგვარი სათამაშო თითქმის არცერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჭკუა-გონებასა და სხეულს წვრთნის, ავარჯიშებს. ყველას არ ჩამოგითვლით აქ... დავასახელებ მხოლოდ „ბურთაობას". აბა, რომელი „გიმნასტიკა" შეედრება მას. ბურთაობის დროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყოლიფერი თანასწორად ეჩვევა სიმარდეს. ქართულ სათამაშოებს ბავშვები თავის ხელით აკეთებენ, მაგალითად, ტაფა-რიკს თვითონ გამოჭრიან ხოლმე, შვილდ-კოდალს იკეთებენ... ნაყიდი სათამაშოები და მუქთად ნაშოვნი ტიკინები ქალაქებში მუქთახორობას აჩვევს ყმაწვილებს და უფრო უფუჭებენ ხასიათს. ეს მე ჩემ თავზე გამომიცდია. სხვისი გაკეთებული და ნაყიდი სათამაშოები არაფრად არ მიმაჩნდა და ჩემსას კი ვუფრთხილდებოდი ხოლმე. პატარებს უყვართ დიდების მიბაძვა, და მეც რომ ხუხულა სახლებსა და ბეღელ-სასიმინდე-წისქვილებს ავაშენებდი ხოლმე, ჩემს სიამოვნებას საზღვარი აღარ ჰქონდა.

აკაკი წერეთელი

აკაკის

სხვიტორის თავზე მივყვები ალმართს,
აკაკის კოშკი თანდათან რჩება.
მივალ ეზოსთან, შევაღებ კარებს,
დაუშრეტელი განცდები მრჩება.
და როს შევდივარ იმ ძველ ოთახში,
ვხედავ ჩამომხმარ ყურძნის აკიდოს,
ვხედავ აგრეთვე მგოსნის კოსტიუმს,
ამშვენებს იგი ოთახს გარინდულს.
შენ საუკუნეს დაუდე ზღვარი
და ნახევარი დაიპყარ ხელში...
შენ საქართველოს ფრთებზე აფრქვიე
გესლმორეული ლექსების თქეში!
მოკვდა წარსულის წყვდიადი ღამე,
ახალ რითმებზე მოვმართეთ ჩანგი,
შენი ლექსებით და პოემებით
ჩვენს საგანძურში ძლიერი დარჩი.
შენ საძებარი გყავდა გმირები,
მათ მოუხმობდი დაფით, ნაღარით,
ჩვენ უამრავი მოგვეპოება
გმირთა გმირები... გრძნობით დავხარით.
ჩვენ შენს საგანძურს გულით ვატარებთ,
გვიყვარს ლექსები კლასიკოსების,
საუკუნეებს ეყოფა საგზლად
მწყობრი რითმები შენი ლექსების!!

ახლადდამწყები ებრაელი მწერალი

ე. ხიტიბაშვილი

გავშვეგის საუვარელი მწერალი

აკაკი წერეთელი მეტად მაღლა აყენებდა საბავშვო ლიტერატურას, საბავშვო ლიტერატურის შექმნას გულთბილად ეკიდებოდა.

აკაკი წერდა:

„არცერთი ყოველთვიური ან დროგამოშვებითი გამოცემა არ ყოფილა ჩვენში ისეთი სათანაგრძნობო ჩვენთვის, როგორც ეს პატარა ჟურნალი (ლაპარაკია ჟურ. „ჯეჯილზე“. ა. ღ.).

რა არის აკაკის უმთავრესი მოტივი საბავშვო შემოქმედებაში?

სამშობლოსათვის, საზოგადოებრივი მუშაობისათვის თავდადება, სიყვარულის გაკეთილშობილება, სწავლისაკენ, შრომისაკენ მოწოდება.

აი რას უნერგავდა, რას ასწავლიდა აკაკი ბავშვებს თავის შემოქმედებაში.

„მე რომ პატარა ვიყავი,
პატარა ბიჭუკელა,
დიდად მეჩვენებოდენ,
მე უფროსები ყველა.
მაგრამ რომ გავიზარდე,
ვნახე რომ ასში მხოლოდ
ორი-სამი კარგია
და დანარჩენი, სხვები
ქვეყანას არ არგია.
მათი მცნება ძალაა,
მომრეობა! მუჭია!
და სათაყვანო ქვეყნად
უსულგულო კუჭია!
და თქვენც კი არ მიჰბაძოთ
იმ მუჭია-კუჭიას
და მით არ დაემსგავსოთ
სულ უბრალო რამ ჭიას!

(ლექსი: „**ყმაწვილებს**“).

მაგრამ მაშინდელი საზოგადოების ათასნაირი ნაკლის ასეთი მხილება საკმარისი არ იყო; ამიტომ აკაკიმ მიმართა კრილოვის იგავებს. ამ იგავებით უკეთესად დაუმიზნა მაშინდელ საზოგადოებას და ბავშვებისათვის ბევრი მოვლენა და თვისება ბუნებისა და ადამიანებისა აშკარა გახადა.

მეტი წილი კრილოვის იგავებისა აკაკიმ საბავშვო ჟურნალებში მოათავსა. ბევრს უსწავლია ან წაუკითხავს „მაიმუნი და სარკე“, „მელია და ყურძენი“, „ვირი და ბულბული“, „მაიმუნი და სათვალე“ და მრავალი სხვა.

ერთი იგავი აქ გავიხსენოთ, რომელიც მოგვაგონებს „ღამურას“.

შოშია

(კრილოვის იგავარაკი)

ბარტყობისას შოშიას
დაესწავლა სიმღერა;
თუ რომ შაშვი არ იყო,
აღარავის ეჯერა.
ნამდვილ მის ხმა-კილოზე
რომ მორთავდა სალამურს,
არემარე დამტკბარი
სიამით უგდებდა ყურს.
უწონებდენ, აქებდენ:
„ვერ ხედავთ შოშიასო?!
მომხიბლავი ჰანგები
გულს სხივებად შეასო!
თავგასული შოშია
გაბრიყვდა მეტის ქებით,
დაუწუნა გალობა
შაშვს უსულო ჰანგებით.

თქვა: აღარ მეკადრება
აწ შაშვივით სტვენაო!
ისა სჯობს, ვაჭახრაკო
ბულბულივით ენაო!

ისეთნაირად დავკვნეს
და ჩავახმატკბილებო,
რომ იმ თქვენ სანაქებოს
ბულბულს გავაწბილებო.

გაიტაცა სიხარბემ,
გადაჰყვა საბრალო გულს,
შაშვურიც დაავიწყდა,
ვეღარც მიჰბაძა ბულბულს:

აწრუწუნდა თაგვივით,
ხან ჩხიკვივით ჩხაოდა,
ხან როგორც მომაკვდავი
კატის კნუტი ჭყაოდა.

აერია დავთრები...
რა ექნა არ იცოდა,
და ვისაც-კი ესმოდა,
მისი ცოდვით იწვოდა.

ჩიტებმაც თქვეს: ვერ ვუგდებთ
ყურს ამ საძაგლობასო!
კარგი შაშვობა სჯობდა
გლახა ბულბულობასო!

ყველას აქვს თავ-თავისი
თითო რამ შესაფერი,
მაგრამ ცუდი სიხარბე
თანვე სდევს, როგორც მტერი.

სხვებს ჰბაძავენ, თავისას
რომ აღარ სჯერდებიან
და, ყველგან მოსხლეტილნი,
სასაცინო ხდებიან!

(„ჯეჯილი“, 1902 წ. № 9)

აკაკისვე ეკუთვნის შესანიშნავი თარგმანი „ყმაწვილი და პეპელა“. ეს თარგმანი ისეთია, რომ ვისაც რუსულად არ წაუკითხავს, ვერც კი მიხვდება, რომ თარგმანია და არა ორგინალური. გაგახსენებთ ამ ლექსსაც:

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა...
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და რამა...

ალერსით უთხრა: პეპელა,
თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არ გღალავს მთელი დღე
მოუსვენარად ფრენაო?

პეპელამ უთხრა: მინდორში
ვცხოვრობ მე უზრუნველადო,
იქ ყვავილები გაშლილან
ჩემ საზრდოდ, საწუწნელადო.

რაც დღე მაქვს — ტკბილად ვატარებ,
ჩემ ნებაზედაც დავფრენო,
მაგრამ დღეგრძელი არა ვარ...
გამიშვი... ნუღა მაცდენო!

ყმაწვილმა ხელი გაუშვა,
გაფრინდა ნაზი პეპელა
და, თითქოს ნიშნად მადლობის,
თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

(ჟურ. „ნობათი“, № 1, 1884 წ.)

მაგრამ აკაკი კრილოვის იგავების თარგმანით არ დაკმაყოფილდა, მან ქართველ მეიგავესაც მიმართა. ეს გახლავთ საბა-სულხან ორბელიანი, რომელმაც დაწერა „წიგნი სიბრძნე სიცრუისა“. საბას ბავშვებისათვის მძიმე დასაძლევი პროზით დაწერილი იგავები აკაკიმ გალექსა დიდი ოსტატობით და ამით ბავშვებისათვის ადვილი გასაგები გახადა საბას იგავებიც.

გალექსილ იგავებს სათაური შეცვლილი აქვს. მაგალითად, საბას: „ნალბანდი და მგელი“ აკაკიმ „ვირი და მგელი“ გახადა, „კუ და მორიელი“ — „ბაყაყი და მორიელი“, „კატის გაზრდილი ლომი“ — „კატა და ლომი“, „სოფლის მაშენებელი“ — „მამალი და ძაღლი“ და მრავალი სხვა.

რომ თვალსაჩინო გახდეს, თუ რამდენად კარგად გალექსა საბას იგავები აკაკიმ, მაგალითისათვის ავიღოთ პროზაც და ლექსიც.

საბა-სულხან ორბელიანი

ნალბადი მგელი.

ერთი მგელი მოუხდა ვირსა, შეჭმას ლამობდა. ვირმა უთხრა: ვიცი, შემჭამ, ეს ანდერძი ამისრულე; ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი დამრჩა და იგი ამომიღეო! მგელმა პირი მიჰყო, უნდა ამოეღო. ვირმა ტყუპად წიხლი ჰკრა, კბილები ჩაამტვრია, ვირი ვეღარ შეჭამა. მგელმა თქვა: მამაჩემი ხარაზი იყო, მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?

ა კ ა კ ი

ვირი და მგელი

ერთხელ ვირი საძოვარზე
დაიმარტოხელა მგელმა,
მიეჭრა და მისი შეჭმა
მოინდომა საძაგელმა.

არ ეღოდა ყურპანტურა,
შეკრთა... უცბად ელდა ეცა;
გაქცევა რომ დააპირა,
მუხლებიც კი მოეკეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჩოქა... შეჰყროყინა:
რომ არ მზოგავ, კი ვხედავო,
მაგრამ მაინც სიკვდილის წინ
ერთ სათხოვარს გიბედავო:

ქაჩაჩში ლურსმნის ნატეხი
ჩამრჩა და ის მტანჯავს მეო.
და ამის ჯავრს ნუ გამატან,
ამომიღე როგორმეო!

მე ანდერძის ასრულება
სიკვდილს გამიადვილებსო...
შენც ლურსმანი აგცილდება,
აღარ გატკენს მაგ კბილებსო.

დაიჯერა მგელმა... ლურსმნის
ამოღებას დაეჩქარა.
მაგრამ ვირმა ტყუპად წიხლი
შიგ კბილებში მიაყარა.

ჩაულეწა... ჩაამტვრია,
ერთიც აღარ შეარჩინა!
დარჩა მგელი რეტდასხმული,
მხოლოდ პირი დააფჩინა
და თქვა: რატომ არ ვიცოდი,
ბედი ასე დამსჯიდაო?
მამა მყავდა ხარაზი და
ნალბანდობას რა მრჯიდაო?!

(„ჯეჯილი", № 2, 1891 წ.)

საბა-სულხან ორბელიანი

უტკბესი და უმწარესი.

ერთმან მეფემან უბრძანა თავისსა ვეზირსა; წადი, ასეთი საჭმელი მომიტანე, ხმელეთზედაც მის უტკბესი არა იყოსო და არც ზღვასა შინა იპოებოდესო. წავიდა ვეზირი, ენა ეყიდა; მოიტანა, შეწვა, აჭამა. მოეწონა. მერედ უბრძანა: წადი, ასეთი მომიტანე, მის უმწარესი არ იპოებოდესო ქვეყანაზე. წავიდა: კიდევ ენა უყიდა და მოუტანა, უბრძანა მეფემან, მწარე ვითხოვე--ენა მომიტანე, და ტკბილი ვითხოვე--კიდევ ენაო. მოახსენა ვეზირმან: „თავმან შენმან, არც არა ენის უტკბესი იქნებისო და არცა რა ენის უმწარესიო პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო.

ა კ ა კ ი

ტკბილი და მწარე

მეფემ უბრძანა სახუცესს:
მოიარე ქვეყანაო
და ტკბილი რამე საჭმელი
მომიძებნე მისთანაო,

რომ იმაზე გემრიელი
სხვა აღარრა გამეგოსო!
შეწვა ენა და მოართვა:
ის საჭმელი გახლავთ ესო.

აკაკი—ბავშვი

ჭამა, იამა და ბრძანა:
— მაროალი ხარ, სახუცესო...
ეგ ნატვრა რომ შემისრულე,
აასრულე ახლა ესო:

აბა, წადი და მიშოკნე
ისე მწარე საჭმელიო,
რომ გამოჩნდეს მასთან თაფლად
სიმწარე და ნაღველიო!

სახუცესმა ისევ ენა
მოუტანა და მიართვა,
მეფემ თვალი გადაავლო,
გაუკვირდა და ასე თქვა:
— მაშინ შენ ენა მომართვი,
როცა ტკბილი მენებაო!
მწარეს ვითხოვ — ისევ ენა
მოგაქვს! როგორ იქნებაო?

მოახსენა სახუცესმა:
თავმან თქვენმან, თქვენმა მზემო!
ზედმიწევნით შემიტყვია,
კარგად ვიცი მაგის გემო!

ვერც სიტკბოთი, ვერც სიმწარით
ენას ვერა ედრებაო!
ზოგს მალამოდ დაედება
და ზოგს ისრად ეყრებაო!

(„ჯეჯილი", № 6, 1892 წ.)

მაგრამ მარტო იგავების გალექსვა როდი უყვარდა აკაკის. ის კარგად იცნობდა ჩვენს ხალხურ პოეზიას, ლეგენდებს, თქმულებებს და რაც მოეწონებოდა, პროზადაც აკეთებდა ბავშვებისათვის და ლექსადაც, პროზად ხალხური თქმულებებიდან აღებული აქვს: „თოხიტარა“, „ლეგენდარული“, „ჭივჭავი და ომი« და მრავალი სხვა, ლექსად კი ბევრთან ერთად ეს პატარა ლექსიც:

ჩემი თხა (ხალხური)

ჩემო ლამაზო ბეკეკა,
შენ, ჩემო თხაო ბელაო!
ჩემი მტერი და ორგული
შენ გენაცვალოს ყველაო!

წვერი გაქვს დეკანოზისა
და რქები ეშმაკისაო,
კბილები ნამგლად ნალესი
ნეკერს კვრეხს, ბალახს მკისაო.

მთაში რომ წაკოკინდები,
დააგდებ მინდორ-ველსაო,
ჯიხვებს ეწვევი კლდეებში,
იქ მოიღერებ ყელსაო.

გაძღები, გასისინდები,
ჯიქანს გაივსებ რძითაო!
რა გზითაც დილას წასულხარ,
ბრუნდები იმავ გზითაო.

მოხვალ და საწველს ამივსებ,
არ დამამადლი წველასო!
მეძღვნეო ჩემი შვილების,
შენ მირჩევნიხარ ყველასო!

თვალის ჩინივით მოგივლი,
ნუ გეშინია მტერისო!
მაგ ძუძუების ჭირიმე,
საწველში ჩაიმღერისო!

ბეკეკავ, ჩემო ბეკეკავ,
შენ, ჩემო კარგო ბელაო,
ჩემი ოჯახის ურგები
შენ გენაცვალოს ყველაო!

(„ჯეჯილი“, № 4, 1895 წ.).

აკაკის ბავშვებისათვის აუარებელი ანდაზა და გამოცანები აქვს მოთავსებული ჩვენს საბავშვო ჟურნალებში. ამ ანდაზებშიც აკაკის ენა სადაა და ლექსიც ისეთივე მუსიკალური, როგორც საერთოდ მისი პოეზია.

აქვე გეტყვით რამდენიმე გამოცანას და თუ გამოიცნობთ, პასუხი გამოუგზავნეთ „პიონერის“ რედაქციას.

1. უენოა, მაგრამ უხმოდ
ბევრი რამ კარგის მთქმელია,
უგნურის დაწუნებული,
ჭკვიანის სანატრელია.

2. ფეხში რომ ხელი მომკიდეს,
ზღვაში ჩამკიდეს თავითა,
რომ ამომიღეს, თეთრი გზა
მოვრწყე ცრემლებით შავითა.

3. ყმაწვილისთვის სასარგებლო
ვარ მისგანვე განწირული:
თავსა მჭრის, რომ გამომიჩნდეს
დაფარული შავი გული.

4. თეთრი რამ შავზე დახტოდა,
ტოვებდა თეთრსა კვალსაო,
კვალშივე უდგა ყმაწვილი,
არ აშორებდა თვალსაო.

5. არა ჭამს, მხოლოდ წყალსა სვამს
გულხარბი ყოვლის მხრითაო;
თუ ხელი ვინმემ მოჭკიდა,
იტირებს ცრემლის ღვრითაო.

6. ოცდათორმეტი ძმები ვართ,
როდესაცა ვართ სრულადო,
გვერდში უდგავართ ერთმანეთს,
მხარს ვაძლევთ მეგობრულადო,
და ვაი იმის სიმართლეს,
ვისაც შევხვდებით მტრულადო!

7. არც იცის ფრენა, არც ხტომა,
დაცოცავს ძალისძლობითა;
ჰაერში სახლკარს იკეთებს,
შიგა ზის წლიდან წლობითა
და სტუმარს ელის სიამით,
ნაძრახი მასპინძლობითა.

დღეს საბჭოთა ხელისუფლება და მთელი საბჭოთა საზოგადოება იუბილეს უმართავს აკაკის 20 წლის გარდაცვალების თავზე.

აკაკი მთელი მშრომელი ხალხის საყვარელი პოეტია.

ჩვენი მოზარდი თაობაც იმით გადაუხდის აკაკი წერეთელს ბავშვებზე ზრუნვას და უზომო სიყვარულს, რომ შეისწავლის და სიყვარულით მოეკიდება მის შემოქმედებას.

ან. ღვინიაშვილი

პიონერული არდადეგები*)

ეროვნული ბიბლიოთეკა

არდადეგებსაც გამოვიყენებთ
ჩვენ წესიერად, პიონერულად;
დასასვენებელ დღეებს, საათებს,
კულტლაშქრობაში მოვიხმართ სრულად!

ყველა წამოგვყვეს, ყველამ მოგვბაძოს,
არ დავიშურებთ ამისთვის ბრძოლას...
და ამ კულტურულ გასართობებში
შემოვიერთებთ მთლიანად სკოლას!

ჩვენა ვართ მარდი, ცქვიტი გვრიტები,
რევოლუციის მარგალიტები!
წინა თაობას შევცვლით თამამად:
მტკიცედ, ამაყად, პიონერულად!

და უფროსების მოწოდებაზე:
„თავდაცვისათვის დღეს თქვენ მზადა ხართ? —
წარბშეუხრელად, ერთხმად შევძახებთ:
— მუდამ მზადა ვართ, მუდამ მზადა ვართ!

ლადო გეგეჭკორი

გამოხმაურება „პიონერის" იუბილეზე

(მ ი ს ა ლ მ ე ბ ა)

კაცხი-სალიეთის ა/ს საშუალო სკოლის მოწაფეთა გაერთიანებული კრება აღფრთოვანებით ეგებება ჩვენი საყვარელი ჟურ. „პიონერის" არსებობის 10 წლის იუბილეს. 10 წლის მანძილზე ჟურ. „პიონერი" ხელს უწყობდა კომუნისტური ჩვევების განმტკიცებას აღზრდის საქმეში და ჩვენს სკოლებში პიონერთა მუშაობის უფრო წინ წაწევას.

ვუსურვებთ ჩვენი საყვარელი ჟურნალი მომავალში უფრო გაიზარდოს როგორც იდეოლოგიურად, ისე მხატვრულად, დაცულ იქნას ენის სისადავე და იწერებოდეს საყმაწვილო ხასიათის წერილები ჩვენთვის გასაგებ და სახალისო ენაზე. ვუსურვებთ „პიონერს" კიდევ უფრო მეტი გამარჯვების მოპოებას მეორე 10 წლის თავზე პოლიტიკურ, კულტურულ და მხატვრული ლიტერატურის მოთხოვნილების საქმეში, მისი ტირაჟის ერთი-ათად გაზრდას. ჩვენი, სკოლის პიონერები და მოზარდი თაობა მზადვიქნებით ჩვენი საყვარელი ჟურ. „პიონერი" ხელში გვეჭიროს, ხალისით ვიკითხოთ და გავამდიდროთ ჩვენი გონებრივი სალარო.

კაცხი-სალიეთის ა/ს საშუალო სკოლის მოწაფეობა.

---

*) ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა ტფ. აგრობიოლოგიურ სადგურთან არსებულ 23 არასრულ საშ. სკოლის მოწაფეებთან შეხვედრაზე, 27 იანვარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა კომუნარი

მამის გვერდით იჯდა ფხიზლად
კომუნარი, ცელქი ბიჭი.
ღიღინებდა და სიკვდილი
ვერ იპყრობდა დარდით, იჭვით.
ახარებდა მინდვრის ვარდი
წინ გაშლილი ლამაზ ბუჩქად,
ბარიკადის ახლო მდგომი,
ახალგაზრდა, მარდი, ლურჯა.
ქალაქგარეთ გამოსული,
დღით და ღამით ცისკვეშ მყოფი,
ულიმოდა ყველა მებრძოლს,
ვინც იცავდა პარიზს თოფით.
ცელქი იყო. ღიღინებდა,
არც შეეძლო ყოფნა ჩუმად...
მას უყვარდა მუშა ხალხი
და პარიზის შავი ქუჩა.
იგონებდა ახლაც შრომას,
ბნელ ოთახს და დედის ალერსს,
კომუნართა შიმშილს, წუხილს
და მეზობელ მუშაქალებს.
— სად წავიდა, ნეტა, დედა! —
გაიფიქრა უცებ ბიჭმა.
— იქნებ დაძწრის ამ ბრძოლაში,
იქნებ მეძებს ან დაიჭრა!
ქარმა ხომ არ გაიტაცა,
ან ვეშაპმა ხომ არ შთანთქა?! —
და ნაწყენი იგონებდა
მრავალ ზღაპარს, დედის ნათქვამს.
ამ დროს ტყვია აზუზუნდა,
შორს ვილაცამ დაიკვნესა...
— აბა ცეცხლი! — დაიძახეს,
— იერიში მოაქვს ვერსალს.
ფეხზე დადგა უცებ ბიჭი,
გაუხშირდა სუნთქვა ცოტა
და ყუმბარა მძიმე, ტლანქი
ფრთხილად მამას მიაწოდა.
ზარბაზანმა დაიქუხა,
შეაშფოთა ცეცხლმა მტერი...
ბარიკადის იქით ველზე
დაიღვარა სისხლი ბევრი.
დატრიალდა ცელქი ბიჭი,
ბრძოლის ხმაში ხალისს გრძნობდა
და ყუმბარა მძიმე, ტლანქი
ისევ მამას მიაწოდა.
არ იცოდა თითქოს სხვა რამ
სიცოცხლის და შრომის გარდა;
თითქოს ისიც არ ესმოდა,
ცხელი ტყვია თუ კაცს კლავდა.
მაგრამ ტყვია უჩინარი,
გასროლილი მხეცის ხელით,
მოხვდა ყმაწვილს და ბოროტად
დაუტოვა გულში ხვრელი.
ჭრილობიდან წყაროსავით
ამოფეთქა ტკბილმა სისხლმა...
შეკრთა ბიჭი და გულწასულს
მოეჩვენა მიწა ნისლად.
გადახედა ველს და მამას,
გადახედა ერთხელ მზესაც,
დაიკრუნჩხა და მიწაზე
უნუგეშოდ დაიკვნესა...
მოკვდა ბიჭი, ცელქი ბიჭი,
გაულურჯდა სახე მკრთალი
და მამისკენ ხელმაშვერილს
გაღებული დარჩა თვალი.

ბ. კაჭახიძე

1

დღეს აბრეშუმის ქარხნიდან დედა ადრე მოვიდა. გაზეთებიც მოიტანა. ოთხად გაკეცილ გაზეთში თხელი ჟურნალი იყო ჩადებული. იგი ლეილას მაგიდაზე დადვა. ლეილა მისი პატარა გოგონაა და სკოლაში დაიარება. სკოლიდან დღესაც თავის დროზე დაბრუნდა. სახვალიო გაკვეთილის მზადებას რომ მორჩა, სახელმძღვანელო წიგნები და რვეულები თავის ადგილზე მოათავსა. მერე ეზოში ჩაირბინა, მეზობელ ბავშვებში გაინავარდა, ატეხა ერთი ალიაქოთი, სიცილ-ხარხარი. ბავშვებს დაწყებული თამაში ჩაუშალა და ისეთი თამაში წამოიწყო, რომელიც თვითონ სურდა.

იგი რამდენიმე ხნის შემდეგ უცებ გამოერჩა ერთმანეთში არეულ ბავშვებიდან. ბავშვები დაედევნენ, ატყდა ყვირილი:

— არიქა, ლეილა გაგვექცა, თავი დავუაროთ, დავიჭიროთ!

ლეილა მირბოდა, ხანდახან იხედებოდა უკან გაცინებული სახით.

— ვერა, ვერ დამიჭერთ, მე უკვე დავამთავრე თამაში!

ბავშვების ყიჟინა დედამაც გაიგონა, გაცოფებულივით გამოვარდა კარში, მაგრამ მეგობრული განწყობილება რომ შეამჩნია, საჩვენებელი თითი გაასავსავა და სიცილით დაიძახა:

— აი, თქვე ეშმაკებო, თქვენა.

გოგონა აქოშინებული შევარდა ოთახში.

2.

— ლეილა, თამაშს ხომ მორჩი?

პატარა გოგონა დედასთან მიიჯრა, წელზე მოეხვია, იცინის, ეალერსება; დედაც ეფერება, ხელს თავზე უსვამს.

— კი, მოვრჩი.

— გაკვეთილების სწავლას?

— გაკვეთილებს უფრო ადრე.

— მაშ მე სადილს მოვამზადებ, შენ გაზეთები წაიკითხე, მე ყურს დაგიგდებ... ჰო მართალია კინალამ დამავიწყდა, ერთი ახალი ჟურნალიც მოვიტანე. ისიც ნახე.

— კარგი, დედილო, წავიკითხავ,—და მაგიდასთან მიირბინა, სადაც ახალი ჟურნალ-გაზეთები ეწყო. დაიწყო გაზეთების ფურცლვა, მერე რაღაც მოაგონდა, სახეზე აღფრთოვანება დაეტყო.

— უჰ, დედი, კინალამ დამავიწყდა, — წამოიძახა ლეილამ, საწიგნე ჩანთიდან პატარა ლამაზი წიგნი ამოიღო, ხელში აქეთ-იქით ატრიალებდა, თითქოს პირველად დაინახა.

— რა იყო, ქალო, რა დაგემართა?

— აი, აი! — უთითებდა წიგნზე და დედას შეაჩერა ხელში.

— მერე, ვინ მოგცა ეს წიგნი?



— დედა, დღეს რვა მარტია, ბეჯითი მოწაფე ქალები დაგვაჯილდოვეს. კრება იყო, ყველამ შეხედა, წიგნი რომ მომცეს. მერე, იცი, ესენი რა კარგი პოეტებია, ამათი ლექსები სკოლაშიც ვისწავლეთ, ყველა იცნობს, — შემდეგ ლეილამ მწერლების გვარები დაასახელა.

გვარების გაგონებისთანვე დედა შეირხა და წიგნს ცნობისმოყვარეობით დახედა.

3.

ლეილამ ნაჩუქარი წიგნი თვალსაჩინო ადგილზე მოათავსა. ფურცლავდა გაზეთებს და ხანდახან კიდეც კითხულობდა ზოგიერთ წერილს. ცოტა ხნის შემდეგ რაღაც მოაგონდა, შეწყვიტა გაზეთის ფურცვლა და დედას დაუძახა:

— დედიკო, დღეს ასე ადრე რატომ დაბრუნდი სამსახურიდან?

— დღეს, შვილო, ჩვენი დღეა, რვა მარტია, ქალთა დღეა, აკი შენცა თქვი, რომ...

— ჰოო, — წამოიძახა ლეილამ, — კი აღარ მომაგონდა, უცებ გულიდან გადამვარდა.

გოგონამ ისევ გაზეთებს მიაპყრო ყურადღება, ჩასცინინებს, ფურცლავს, ხან ხმამაღლაც კითხულობს. თავის გაზეთს რომ მორჩა, მერე დედის მოტანილ გაზეთს მოჰკიდა ხელი, გაკეცილი გაზეთიდან „მშრომელი ქალი" ამოიღო და ამ ჟურნალის გადათვალიერება დაიწყო.

„8 მარტი მშრომელ ქალთა დღეა", — დიდი ასოებით ეწერა პირველ გვერდზე. ლეილას სურათები უფრო აინტერესებდა და მათ წარწერებს კითხულობდა. თითქმის ყოველი ქარხნიდან იყო დამკვრელი ქალების პორტრეტები.

— რამდენი დამკვრელი ქალი ყოფილა, — ჩაილაპარაკა ლეილამ და თავისთვის გაიფიქრა: „დედაჩემიც ხომ იყო დამკვრელი".

ასე ფურცლავდა იგი ჟურნალს და მოულოდნელად განცვიფრებული თვალით დახედა ერთ გვერდს. უცქირა, უცქირა და მერე ისევ დედას შესძახა:

— დედილო, ყური მიგდე, აი რა უნდა წაგიკითხო! — ბავშვი ანთებული იყო სახეზე. ლოყები ვარდივით უბრწყინავდა.

— აბა, წაიკითხე...აბა.

— „ტფილისის აბრეშუმის ქარხნის დამკვრელი ქალი“ — და ამოიკითხა თავისი დედის გვარი, — „დაჯილდოებული ერთი თვის ხელფასით“.

დედა კითხვის დამთავრებამდის მივიდა შვილთან, შეხედა თავის პორტრეტს, გაეხარდა, თვალს აღარ აშორებდა იმ ფურცელს.

4.

— აი, შვილო, ხედავ, ეს მხოლოდ საბჭოთა ქვეყანაშია შესაძლებელი. სადაც ბურჟუები ბატონობენ, იქ მუშაქალებს გაზეთებში კი არ ხატავენ, ისინი შიმშილით წყდებიან, ქუჩა-ქუჩა დაწანწალებენ, ჩვენ კი ვზეიმობთ ჩვენში რვაა გმარტს 8 მარტს დაისვა პირველად ქალთა ანთავისუფლების საკითხი.

— მაშ ჩვენ ორივე დამკვრელი ვართ?!

— აბა რა გგონია, შვილო, ასე არ სჯობია?! რა საქმესაც ადგიხარ, უნდა გიყვარდეს, ბეჯითი უნდა იყო. ჩვენს ქეყანაში შრომა არ დაგეკარგება.

მათ ლაპარაკში მამაც მოვიდა. დედა-შვილის სიხარულს ისიც შეუერთდა, იცინეს. სადილად რომ დასხდენ, მამამ ხუმრობით ჰკითხა პატარა ლეილას:

— კი მაგრამ, შენც ქალებში ურევიხარ?

— მაშა, ცუდი გოგო ვარ თუ!

ლავრ. ჯიჯინაძე

ნინა ხუბულავა

პატარა ეზო და უკაცური კარმიდამო, დედ-მამის ხსოვნა და ბებიას უკანასკნელი ალერსი, ბავშვობა, „ბუბაი-ჩელა ბუბაი-ბუსკას“ სიმღერები, ტოლი გოგო-ბიჭები და ყველაფრის დამფარავი, დამაძაბუნებელი სილარიბე სადღაც უკან დარჩა, სოფელ ეკში, წარსულში.

დედ-მამა მას არც ახსოვს, მათ იცნობს პროვინციურ ჟამთა სვლაში გაყვითლებული ფოტოგრაფიული სურათებიდან, რომელიც მოწყენით ეკიდა ბებიას საწოლი ლოგინის ზემოთ კედელზე. შემდეგ, 1929 წელს, გარდაიცვალა ბებია თებრონეც. მას სარეცელზე მწოლარე, გადაუღეს სურათი და ამ დღიდან კეთილ ბებიას მოსაგონებლადაც სურათი დარჩა: როგორც თოვლის კაცი ფიფქებს შუა, ისე იწვა ბები სუდარაში...

ნინა დარჩა მარტო, სულ მარტო. უფროსი ძმა ვალია ჯერ კიდევ 1928 წელს წავიდა რუსეთში, სამხედრო საავიაციო სკოლაში... და ნინა ტიროდა. პატარა, ის ძლივს ჩანდა მიწაზე, ოქროსფერი კულულები გასწეწოდა და ეს ცისფერი, შეშინებული თვალები ცრემლებით გავსებოდა. ნინა ხომ ახლა სულ მარტო იყო ქვეყანაზე, როგორ დაიძინებდა ღამით, ხომ შეეშინდებოდა! თან ბებიას ფეხებთან ძილდაჩვეულს შესცივდებოდა, ან როდესაც ლამფას ჩააქრობდა და მთელ ოთახში დადგებოდა სიბნელე, რა უნდა ექნა მაშინ ნინას, ხომ მოვიდოდა მის ლოგინთან „ოჩოკოჩი“ და შეეჭამდა.

ეკი! აქედან ხელისგულივით ჩანს საშურლაიო, ტალურის დაბლობები, ცივის და ლეხურის ნაპირები! ყველაფერი ეს დარჩა უკან, შორეულ წარსულში. ტოლი გოგო-ბიჭები, ალბათ, ისევ ჩალის ცხენებზე სხედან, „ბუბაი-ჩელა, ბუბაი-ბუსკას“ მღერიან, ღელეებზე ბუტაფორიულ წისქვილებს დგამენ, ქარიან დღეებში სიმინდის ქუჩეჩისაგან ფარფატებს აკეთებენ და როცა ჩამოთოვს, ჩიტებს კაკანათს უგებენ. აღარც ბები, აღარც დედ-მამა.

ნინა გაზარდა კომკავშირმა. ახლა რესპუბლიკა იცნობს მას, ის პირველი ქართველი მფრინავი ქალია, დამოუკიდებლად მართავს მანქანას და უმაღლესი პილოტაჟის ნიმუშებს ბრწყინვალედ ასრულებს. ყველაფერი ეს უბრალოდ წარიმართა თებრონეს სიკვდილის შემდეგ. 1930 წელს ვალია რუსეთიდან დაბრუნდა. ნინას ყოველთვის ხიბლავდა თავისი უფროსი ძმის პროფესია, გატაცებით ისმენდა მის ნაამბობს საოცარი გაფრენების შესახებ, და პატარა ნინამ უკვე გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ეფრინა თვითონ. და აი ვალიამ ითათბირა მამიდებთან, რომლებიც ახლა პატარა ობოლს მფარველობდენ, და ნინაც გამოეთხოვა ეკის.

შემდეგ ჯარასავით დატრიალდა ეს ცხოვრება. ნინამ დაამთავრა ტფილისის კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. ამასთანავე სწავლობდა საპლანერო სკოლაში. საქარხნო სკოლამ ზეინკლის კვალიფიკაცია მისცა. მუშაობდა

კბილანების მჭრელ ფრეზერის დაზგაზე. იქვე დატოვეს ოსტატად, მაგრამ კომკავშირის ტფილისის კომიტეტმა ფრთები შეასხა ნინას ოცნებას და გააგზავნა ბატაისკის წითელდროშოვან მფრინავთა პირველ სკოლაში. აქ დაჰყო ოთხი თვე და ახლა კიდევ ერთხელ დაობლდა ნინა. ვალიაც გარდაიცვალა, ძმა კი არა, მისი ხელმძღვანელი და ერთადერთი პატრონი!

მაგრამ ნინას განა სხვა პატრონი არა ჰყოლია! კომკავშირი ზრდიდა თავის პირმშოს და განა ეს ყველაფერი არ არის? ისევ ტფილისი. თავდაცვა-ავიაქიმის ჰაერომფრინავთა სკოლა და ვაჟკაცური მქუხარე სიმღერა:

Все выше и выше...

ოცნება შეისრულა, მაგრამ მამიდები სულ მოიმდურა. ერთ მამიდას უნდოდა ნინა სოფელ ეკში თან წაეყვანა. მონახა კიდეც თავისი ძმისწული, ლოგინში მწოლარეს მიუსწრო, ჯილდოდ აგვისტოში მიღებული ნინას სამხედრო ტანსაცმელი, პილოტის თბილი შარვალი და წამოსასხამი იქვე უწესრიგოდ ეყარა. მამიდა ლამის გადაირია, ტანსაცმელს მიაფურთხა, ლოყები დაიკაწრა, ძმისწულთან კი ვერაფერი გააწყო.

* *

და აი ახლა მე ამხანაგებთან ვზივარ და ვსაუბრობ, ჩვენს შორის არის ნინა ხუბულავაც. მას მე ბევრი ხანი არ არის ვიცნობ, მაგრამ ისე ახლობელია და მშობლიური, თითქოს ჩვენც იქ დავბადებულვართ, იქ აღვზრდილვართ, ბებია თებრონეს კალთებთან, ეკში. ჩვენ ხომ ერთად გვაწოვა კომკავშირმა ძუძუ და ნანაც გვითხრა, ჩვენ ხომ მილიონები ვართ: ინჟენერები, ექიმები, აგრონომები, მასწავლებლები, მფრინავები, სოციალისტური ქარხნებისა და მინდვრების დამკვრელები, ეს ჩვენ ვართ ჯანმაგარი ახალი თაობა, ეს ჩვენ ვართ, ვაჟკაცური პირდაპირობით რომ მივიწევთ წინ.

— ბიჭებო, — გვეუბნება ამხანაგი ნინა,— ბიჭებო, დამიგდეთ ყური! და ის ბავშვია, ხმა კი, აკანკალებული ხმა, პატარა გოგოს ნაზი ხმა, ზარივით რეკავს.

— ბიჭებო, თქვენ რაღას დაფრთხით? განა ასე ძნელია პარაშუტით ჩამოხტომა? აი, ნახეთ სურათები!

ის შლის წიგნს, შემდეგ პაწია თითებს ადებს სურათებზე და გვიხსნის, როგორ ქოლგასავით იხსნება პარაშუტი, როგორ მოძრაობს თვითმფრინავიდან გადმომხტარი ადამიანი. მაგრამ ჩვენ განა მას ვუსმენთ! ჩვენ მშიშარები ვართ მასთან შედარებით ფრენის საქმეში. ჩვენ ჩვენს პროფესიებში გვაქვს დიდი გული. მე ვაკვირდები ამ საოცრებას. ნინა ჯერ 18 წლისაც არ იქნება. თეთრი, ცისფერი თვალები, პაწია ხელები, რგვალი პირისახე, აი ისეთი, საკანდიტროში ნამცხვარებს რომ ყიდიან, და ძალაუნებურათ მინდა წამოვიძახო:

— ვინ განდო, გოგო, შენ თვითმფრინავი, ვინ?!

ნინა იდგა ჩვენს შორის როგორც სიხარული, როგორც თვით სიყმაწვილე და თავისი ბავშვური ხმით გვეკითხებოდა:

— მოგეწონათ? ჰაიტ, თქვე მშიშარებო, არის, განა!

ჩვენ საოქმელი ვერაფერი მოვუხერხეთ, მე კი შევნიშნე:

— ქალო, ის როგორ იყო, თვითმფრინავი გადაყირავდა, შენ კი ძირს არ ჩამოვარდი?

— ჰოო! ეს რაა, აი, ვედრო აიღე, ნახევრამდის ჩაასხი წყალი და შემდეგ ჰაერში ღონივრად შეატრიალე, — წყალი არ დაიღვრება, კაციც ასეა თვითმფრინავში.

ის ლაპარაკობდა ისე უბრალოდ, როგორც გუშინ პარაშუტით გადმოხტომის უბრალოებას გვიხსნიდა.

რაკი ნინამ შეატყო ჩვენ სუყველანი მოხიბლული ვიყავით მისი გაბედული ფრენით, მას უცნაურმა აზრმა გაუელვა: ხომ შეიძლებოდა ასევე მოეხიბლა თავისი მომდურებული მამიდები და სოფელ ეკის გოგო-ბიჭები?

— ახ, მეტი არაფერი მინდა, — წამოიძახა აღტაცებით ნინამ — ერთი ჩემი თვითმფრინავით სოფელ ეკის ცაზე მანავარდა და ჩვენებს დაანახა, როგორ ადვილად შეიძლება კაცი გაფრინდეს!

ალბათ ასეც იქნება...

მოსე გვასალია

ბავშთა შემოქმედება

მარწყვზე*)

— ოოო! რამდენი მარწყვია, რამდენი! — იძახოდა გოლა და ორივე ხელით კრეფდა.

— უჰ, უჰ! რამდენია! — იძახოდენ სხვებიც და მარწყვს ეალერსებოდენ, უცინოდენ, თანაც პირს იტკბარუნებდენ.

— უჰ, დედილო ეს რამოდენაა! — წამოიძახა გაკვირვებულმა ოთარიკომ და მარწყვს ხელში ატრიალებდა.

— აბა, ოთარ, მაჩვენე, — ცულლუტი ღიმილით ეუბნება გოლა ოთარს.

— არ შემიჭამო, თორემ..,

— არა, არა, ნუ გეშინია, — დაამშვიდა გოლამ.

— ბიჭოს, მართლა დიდი ყოფილა! აბა გემო ვუნახოთ! — წამოიძახა უცებ გოლამ და ოთარიკოს მარწყვი პირისაკენ გააქანა.

— დედილოო! — გააბა ოთარიკომ ტირილი, მაგრამ სიცილი რომ დააყარეს, ისევ გაჩუმება ამჯობინა, გოლას კი დაემუქრა:

— მოიცა, დამაცადე!

— შერიგდით, შერიგდით! — წამოიყვირეს ბავშვებმა ღა მოჩხუბრებს შემოეხვივნენ.

— კარგი, ბიჭებო, მარწყვისთვის არ მოვედით? ჩქარა მოვკრიფოთ, თორემ, ცოტა არ იყოს, ღრუბლება, — თქვა სერგომ.

— მართლა, ბიჭებო, თორემ წვიმა მოვა და..

— დავსველდებით, — დაამთავრა გოლამ ოთარიკოს სიტყვები.

ბავშვები ისევ დაიშალნენ და გამალებით დაიწყეს მარწყვის კრეფა, ხუმრობას კი არ იშლიდენ.

— აგერ რამოდენა მარწყვს ვხედავ! — წამოიყვირა გოლამ და მარწყვისაკენ გაქანდა.

— არ შეგარჩენ, არა! — მიაძახა ოთარიკომ და ისიც გაექანა. საცოდავ მარწყვს ოთხი ხელი ერთად მისწვდა, მაგრამ ოთარიკომ იმარჯვა, მარწყვი პირში ჩაიგდო, გოლას კი სიცილი დააყარა:

— ი, ხომ გადაგიხადე!

IV

დილით მშვენიერი ტაროსი იდგა. მაგრამ ახლა ცა შავმა ღრუბლებმა დაფარა. წვიმა დაიწყო. წიფლის ქვეშ შეჯგუფებული ბავშვები აინუნშიაც არ აგდებდენ წვიმას და ხარხარებდენ, ელოდებოდენ გამოდარებას. ხავსით დაფარული და თითქმის მიწაზე დაწოლილი ასწლოვანი წიფელა იცავდა მათ წვიმის წვეთებისაგან. ფრინველები თავიანთ ბუდეებში შეყუჟულიყვნენ და ისინიც გამოდარებას ელოდებოდენ, რომ ისევ შეემკოთ მზის ბრწყინვალე მაცოცხლებელი სხივები და ბუნება. ირგვლივ სიჩუმე იყო. ყველა ცოცხალი არსება მიმალულიყო. მხოლოდ წვიმის შხეფები ფოთლებზე ტკაცუნებდა და ბავშვების გულიანი სიცილი ისმოდა.

— ნეტა როდის უნდა გამოიდაროს, — ამბობს ოთარიკო და ცას შეცქერის, სადაც ამხედრებული ღრუბლები ირევიან და სადღაც მიეჩქარებიან.

— მალე გამოიდარებს, მალე, ხედავ, ღრუბლები სადღაც მიემგზავრებიან, — ამბობს გოგი და თითს მოგანგაშე ღრუბლებისაკენ იშვერს.

წვიმამ იკლო.

— წავიდეთ, გავიქცეთ, თორემ კიდე დაუშვებს, ყვირიან ბავშვები. გოგიმ მარწყვითა და სოკოთი გატენილ კალათას დაავლო ხელი და გაიქცა, სხვებიც დაედევნენ.

მზემ ისევ გამოყო თავი, ქვეყანას მიესალმა და სხივები გადმოაფრქვია. ღრუბლები გაიცრიცა.

— შეხედეთ იმ ღრუბელს, როგორ წითლად ღუის, — დაანახვა ბავშვებს გოლამ.

ცის ტატნობზე ღრუბლის პაწია ნაწყვეტი მზის სხივებისაგან წითლად ღუოდა, თითქოს ცეცხლი ეკიდებაო.

— აჰა, კიდეც მივედით! — წამოიყვირეს ბავშვებმა და დასველებულები გაექანენ თავისი სახლებისაკენ.

ლ. ხვიჩია

*) დასასრული. იხ. ჟურ. „პიონერი“ № 1—2.

5 154

აკაკი

ყოველთვის საყვარელი და უძვირფასესი იქნება სახელოვანი და დიდებული მწერალი აკაკი წერეთელი.

მომწონს აკაკის მხატვრული, მშვენიერი მოთხრობები და მუსიკალური ლექსები, მისი ოხუნჯური გამოთქმები სიხარულით ავსებენ გულს და ღიმილს ჰგვრიან მკითხველს. აკაკის თავისუფალი წინადადება ამშვენიერებს ისედაც კოხტა, მხატვრულ მოთხრობებს.

ალტაცებით და გაკვირვებით ვკითხულობთ მის მახვილ, სხარტ ფრაზებს. ვერ წარმომიდგენია: თუ იქნება ისე მომხიბლავად დაწერილი მოთხრობა, როგორიც არის „ბაში-აჩუკი“.

როდესაც მივემგზავრები სოფლად, თვალს ვერ ვაშორებ იმ სახლს და იმ მიდამოებს, სადაც ალიზარდა შესანიშნავი პოეტი აკაკი.

რა ტკბილად ჩუხჩუხებს და გველივით მიიკლაკნება ჩიხურა და იზორა, თითქოს გვიამბობდეს აკაკის წარსულს! აი, მივედით სოფელ სავანეში, სადაც ის იზრდებოდა 7 წლამდის, სადუნიშვილის ოჯახში. წარმოდგენილი მაქვს, როგორ დანავარდობდა აკაკი სავანის ორლობეებში, როგორ არ შორდებოდა მას პატარა ტუჩებზე მახვილი, სახუმარო გამოთქმები... წარმოდგენილი მაქვს, როგორ ჩეჩდენ ბაბუას წვერს აკაკი და მისი ძიძის შვილი...

ჩემთვის ნაცნობია ეს ადგილები, სადაც გაატარა აკაკიმ ბავშვობა... საყვარელია აკაკი ჩემთვის... მაგრამ ვანა მარტო ჩემთვის?!

ე. აბრამიშვილი

მე-18 შრომის სკოლის V კ. მოწ.

რებუსი